მესხეთის უნივერსიტეტი

№ 8 (264) სექტემბერი, 2019 წელი • გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

„ქაჩთული ონომასტიკა ალქაჭაულ ბგაბგეა“

რესპუბლიკური ონომასტიკური კონფერენცია

მიეძღვნა პროფესორ მერაბ ბერიძის 70 წლის იუბილეს

საქართველოში მიმდინარე ინოვაციებისა და მეცნიერების ფესტივალის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა და სამხარეო ადმინისტრაციის მონაწილეობით, 28-29 სექტემბერს, ჩატარდა რესპუბლიკური ონომასტიკური კონფერენცია თემაზე **– თანამედროვე ონომასტიკური პრობლემები**. კონფერენცია მიეძღვნა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **მერაბ ბერიძის** 70 წლის იუბილეს.

გაგრძელება მე-3 გვ.

აკადემიურ სივრცეში საკონსტიტუციო ცვლილებებზე იმსჯელეს

გვ.7

გურამ მღებრიშვილი: ხატწერა ლოცვით ყეთდება

გვ.12

მერაბ ბერიძე – 70

მესხეთის მუხლჩაუხრელი მეციხოვნე

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მერაბ იოკიმეს ძე ბერიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო მერაბ!

ჩვენო უღალატო მეგობარო და კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან სიკეთითა და სიქველით გამორჩეულ დიდებულ პიროვნებას და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

გვახარებს იმის გააზრება და გასიგრძეგანება, რომ თქვენ მარტო ჩვენი უღალატო ძმა კი არ ხართ, არამედ ქართული ცისა და მიწის ერთ-ერთი უბადლო მეციხოვნე, რომელიც აგრერიგად სჭირდება არამარტო მის მშობლიურ, მრავალჭირნახად მესხეთს, არამედ სრულიად საქართველოს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო სარბიელზე 1967 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში” გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსი „მეგობრობა”. სწორედ მეგობრობის, სიყვარულის, მოყვასისადმი თანადგომის აპოლოგეტად გიცნობთ საუკუნის ნახევრის განმავლობაში და მტკიცედ გვწამს, რომ სხვანაირად არც შეგიძლიათ არსებობა. ამ უმშვენიერესი იდეალებითაა განმსჭვალული თქვენი პოეტური კრებული „უნდა იფხიზლო მაშინ, როცა მგლებსაც კი სძინავთ”, რომელიც მარადიული სიფხიზლისაკენ მოუწოდებს თანამოძმეთ, რათა ერთად გავუძლოთ გამოფხიზლებული, გავეშებული მგლების შემოსევებს, რომლებსაც ივერთა მიწა სათარეშოდ, გასათელად სჭირდებათ.

თქვენი არსებობით, თქვენი მუხლჩაუხრელი მოღვაწეობით წარმოადგენთ ნორმასა და ნიმუშს იმისა, თუ როგორ შეიძლება ჩუმად, უხმაუროდ აკეთო დიდი ეროვნული საქმეები, რომელთა მასშტაბისა და სიღრმის გააზრება ბევრს არ ძალუძს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართულ მეცნიერებას, დავაზუსტებთ, ქართულ ონომასტიკას, თქვენი სახით, ძალზე მნიშვნელოვანი, მასშტაბური მკვლევარი ჰყავს. ამის დასტურია თქვენი, როგორც საკანდიდატო („ჯავახეთის ტოპონიმია” – 1986 წ.), ისე სადოქტორო („მესხური ტოპონიმიის სტრუქტურული და ისტორიული ანალიზის პრობლემები” – 2005 წ.) მონოგრაფიები. როგორი ნიშანდობლივია, რომ მთელი თქვენი მეცნიერული მზერა, მთლიანად, თქვენი მშობლიური კუთხისკენაა მიმართული და მისი წარსულის გამომზეურებას ემსახურება. თქვენი მეცნიერული ნაბიჯები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული, სადაც 1973 წლიდან ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკის ლაბორატორიაში დაიწყეთ მუშაობა ჯერ ლაბორანტად, მერმე კი მეცნიერ-თანამშრომლად და უფროს მეცნიერ-მუშაკად. კარიერის გაგრძელება იქვე დიდი წარმატებით შეგეძლოთ, მაგრამ შინაგანმა ხმამ გიკარნახათ, რომ ძალზე სჭირდებოდით მშობლიურ კუთხეს – მესხეთს და 1990 წლიდან სათავეში ჩაუდექით თსუ-ის ახალციხის ფილიალს. თქვენვე ჩაუყარეთ საფუძველი თსუ-ის ჯავახეთის ფილიალს და დიდხანს იყავით მათი დირექტორი. ეს ფილიალები თქვენ ქართველი და სომეხი ახალგაზრდების აღზრდის, მათი დამეგობრების უმძლავრეს კერებად აქციეთ. 2012 წლიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, ხოლო 2014 წლიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყავით. ამჟამად რექტორის მოადგილე ხართ სამეცნიერო დარგში და ჩვეული გატაცებით ემსახურებით საყვარელ საქმეს.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი არჩეული იყავით საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორად.

თქვენი მონოგრაფიები და სამეცნიერო ნაშრომები – „ტაძრები და სახელები”, „სოფლები და ნასოფლარები მოგვითხრობენ”, „ზველი და მისი შემოგარენი”, „ნასოფლარი ერკოტა”, „მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელობა”, „ასპინძა და ასპინძელობა”, ჩვენთვის ანთებულ კელაპტრებს წარმოადგენს, ქართული სისხლით შეფერილი მატიანის სადიდებლად დანთებულს.

თქვენი რედაქტორობით გამოიცა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული „გულანი” და ლიტერატურული და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „არავი”. დამფუძნებელი და სარედაქციო საბჭოს წევრი ხართ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთისა”. იყავით სამეცნიერო ჟურნალ „ქართველოლოგიის” მთავარი რედაქტორის მოადგილე.

თქვენი, სამშობლოს სამსახურში უშურველად დახარჯული ერისკაცის ღვაწლი, ღირსების ორდენითა და ივანე ჯავახიშვილის მედლით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია. „ქართული სულის” ფესტივალზე თქვენ, როგორც ქართული სულიერების გამაძლიერებელს მესხეთსა და სრულიად საქართველოში, „დიდი მესხის” წოდება და ოქროს მედალი მოგენიჭათ. 2013 წელს ჟენევაში გადმოგეცათ ევროპის რექტორთა კლუბის დიპლომი. არჩეული ხართ ახალციხის საპატიო მოქალაქედ.

ბატონო მერაბ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს საქართველოს სამხრეთი კარიბჭის მეციხოვნეთა რაზმის წინამძღოლს, დღეგრძელობას და მზეგრძელობას გისურვებთ თქვენი სათაყვანებელი სამშობლოს სადიდებლად.

საქართველოს
მწერალთა კავშირი

პროფესორ მერაბ ბერიძის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით ბევრი დაიწერა. არაერთხელ აღინიშნა მისი უდიდესი დამსახურება უნივერსიტეტის, კუთხისა და ქვეყნის წინაშე. გავა წლები და კიდევ მეტი გახდება ცნობილი საზოგადოებისთვის. ვულოცავთ ბატონ მერაბს საიუბილეო თარიღს. წარსულში საქმიანობაზე არანაკლებ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მისი ამჟამინდელი მონაწილეობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებისთვის. მისი საქმიანობა, ვფიქრობთ, კიდევ ბევრ წარმატებას მოუტანს უნივერსიტეტს. ვუსურვებთ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ჩვეული შემართებით გაგრძელებას, შეგირდთა სიმრავლეს და ბედნიერებას დიდ ოჯახთან ერთად.

პატივისცემით,
მაკა ბერიძე

უნივერსიტეტში სასწავლო წლის დაწყება იზეიმეს



16 სექტემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წლის დაწყება იზეიმეს. ამ დღეს, ტრადიციულად, უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მაკა ბერიძემ** და პირველკურსელებმა, ყვავილებით შეამკეს გრიგოლ ხანძთელისა და ივანე ჯავახიშვილის ძეგლები. ღონისძიების ოფიციალური ნაწილი უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა. გაჟღერდა სახელმწიფო ჰიმნი. დარბაზში შეკრებილ სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, კურსდამთავრებულებს, სტუდენტთა მშობლებს, უნივერსიტეტის რექტორი მიესალმა: **დღევანდელი ღონისძიება გრიგოლ ხანძთელისა და ივანე ჯავახიშვილის ძეგლების ყვავილებით შემკობით დავიწყეთ. ეს უკვე ტრადიციაა. ეს ტრადიცია ბევრის მთქმელია და სიმბოლურ ხასიათს ატარებს. თქვენი გადაწყვეტილებით – ოთხი წელი გაატაროთ ამ უნივერსიტეტის კედლებში, იღებთ ვალდებულებას, გააგრძელოთ მესხეთის საგანმანათლებლო კერების ტრადიციები, უერთგულოთ საუნივერსიტეტო ტრადიციებს, საქართველოში არსებულს. ასე რომ, დიდი პასუხისმგებლობაა, იყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი; პასუხისმგებლობასთან ერთად, დიდი პატივია და შანსი, დაეუფლო პროფესიას, მიიღო ხარისხიანი განათლება.**

რექტორმა სასწავლო წლის დაწყება მიულოცა პროფესორ-მასწავლებლებს, ადამიანებს, რომლებიც, წლების განმავლობაში, ერთგულად ემსახურებიან სტუდენტთა განათლების საქმეს, სამცხე-ჯავახეთში უნივერსიტეტის იდეის გაძლიერებას. მადლობა მოახსენა იმ პროფესორებს, ვინც თავის დროზე მთელი შრომა და ძალისხმევა მოახმარა უნივერსიტეტის გახსნისა და განვითარების საქმეს. მადლობა მოახსენა იმ პროფესორებს, ვინც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ და დღეს ჩვენ გვერდით აღარ არიან.

რექტორმა დამსწრე საზოგადოებას საქართველოში **„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019“** -ის თაობაზე ესაუბრა და აღნიშნა, რომ ფესტივალში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიც მონაწილეობს.

პირველკურსელებს მიესალმა და ფესტივალის პროგრამა გააცნო რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ: ჩვენი უნივერსიტეტის ჩამოყალიბების დღიდან, მეცნიერება, ისე როგორც ყველა უნივერსიტეტის პრიორიტეტი, გამოცხადებული იყო უპირველეს საქმედ. დღეისათვის ამ უნივერსიტეტს თავისი სამეცნიერო ტრადიცია გააჩნია. ის, რომ ჩვენ დღეს უნივერსიტეტი ვართ, სწორედ მისი მეცნიერული პოტენციალის, მეცნიერული შესაძლებლობისა და ტრადიციის შედეგია. რაც შეეხება სამეცნიერო და ინოვაციურ ფესტივალს, ეს არის საქართველოსთვის უკვე ტრადიციადქცეული სერიოზული საქმე. მასში მონაწილეობას მთელი ქვეყანა იღებს. ჩვენც არაერთი ღონისძიებით ვუერთდებით ამ ფესტივალს. მინდა, ყველა პირველკურსელს, ყველა სტუდენტს მივულოცო სასწავლო წლის დაწყება და წარმატებები ვუსურვო.** – აღნიშნა ბატონმა მერაბმა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019“-ის ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები.

სიტყვა მისალმებისთვის დაეთმო ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს **გურამ მელიქიძეს: მეამაყება, რომ დღეს გილოცავთ სწავლის დაწყებას. ის ბედნიერება, რაც ამ კედლებში თქვენ ოთხი წელი გელოდებათ, შეუდარებელია. ეს არის თქვენი ნიჭის, თქვენი შესაძლებლობების გამოვლენის უმთავრესი ადგილი. აქ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მიიღოთ კარგი განათლება, რომ კარგ პროფესიონალებად ჩამოყალიბდეთ, რომ ჩვენს ქვეყანას, თქვენს ოჯახებს გამოადგეთ.**

პირველკურსელებს, კურსდამთავრებულთა სახელით, სწავლის დაწყება მიულოცა **ვახტანგ თაქთაქიძემ.** მან უნივერსიტეტში გატარებული წლების შესახებ ისაუბრა და პირველკურსელებს ურჩია, როგორ დაგეგმონ სტუდენტური წლები. **გილოცავთ სტუდნტობას. თქვენ მოხვდით უნივერსიტეტში, რომელიც დაფუძნებულია ეროვნულ ღირებულებებზე, გრიგოლ ხანძთელიდან რომ მოდის. ედემის ბაღში ორი ადამიანი იყო – ადამი და ევა. ამ დროს ჩნდება მაცდური, რომელიც ეუბნენა მათ – შეჭამეთ ხის ნაყოფი და გახდებით ღმერთებივით. ამით ცდუნდებიან ორივე. როგორც ეკლესია განმარტავს, ეს იყო წარმატების მიღწევის შეთავაზება შრომის გარეშე. რომ გადმოვიდეთ 21-ე საუკუნეში, დღესაც დავინახავთ – თუ არ ვიშრომეთ, თუ არ გავწიეთ ღვაწლი, ის გველი გვისისინებს ყურებში. თქვენ გაქვთ საშუალება, ოთხი წელი გაატაროთ ისე, რომ არ წახვიდეთ აქედან გაქურდულები და არ გაქურდოთ საკუთარი თავი. მთვარია, სწორი მიმართულებით იშრომოთ. გისურვებთ, რომ ეს ოთხი წელი ყოფილიყოს ხალისიანი, საინტერესო და აქედან გასულები იყოთ მზად რეალური ცხოვრებისთვის.**

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა **მირზა ბურძენიძემ** სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ ისაუბრა, განსაკუთრებით, პირველკურსელთა საყურადღებოდ და მოუწოდა მათ, სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნებისთვის, იყვნენ აქტიურები როგორც სწავლაში, ისე სტუდენტურ ღონისძიებებში.

ახალციხის დამოუკიდებელი სკოლა „მზექა“ დავამთავრე. ამ უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსების საშუალებით, გავხდი ეკონომიკის სპეციალობის სტუდენტი. მინდა, ჩემს მეგობრებს ვუთხრა, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ. უნივერსიტეტში არის ყველა პირობა, რომ მივიღოთ სრულფასოვანი განათლება. ყველას ვუსურვებ წარმატებულ სასწავლო პროცესს. – ასეთი მისალმებით დაამთავრა საზეიმო ღონისძიება პირველკურსელმა **ნინო სტანჩიკოვამ,** რის შემდეგაც სტუდენტები გადანაწილდნენ მიმართულებების მიხედვით და გააგრძელეს მუშაობა უნივერსიტეტის მიერ მომზადებული კვირის სამუშაო პროგრამის შესაბამისად.

* * *

საზეიმო განწყობა სუფევდა, 17 სექტემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში, ახალქალაქში. სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს სწავლის დაწყება უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ,** რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ,** რექტორის მოადგილემ ახალქალაქის კორპუსში, ასოცირებულმა პროფესორმა **ვასილ მოსიაშვილმა,** ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **გიორგი ბუცხრიკიძემ,** პროფესორმა **როინ ყავრელიშვილმა,** იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა, ასოცირებულმა პროფესორმა **ასმათ ევსაიამ** მიულოცეს. **გილოცავთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს სწავლის დაწყებას, ადმინისტრაციის თითოეულ თანამშრომელს, პროფესორ-მასწავლებლებს, ყველა იმ მოქალაქეს, რომელსაც გაცნობიერებული აქვს, რამდენად მნიშვნელოვანია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, ყველა იმ მოქალაქეს, რომელიც გულშემატკივრობს ჩვენს უნივერსიტეტს. დღეს ერთად ვსაუბრობთ ქართულ ენაზე და ჩვენ არ გვჭირდება თარჯიმანი. ეს ნიშნავს, ჩვენ გვესმის ერთმანეთის. ამ უნივერსიტეტის არსებობის მთავარი მიზანიც სწორედ ეს არის – გვესმოდეს ერთმანეთის.**

რექტორმა აღნიშნა, რომ წელს პირველად, მესამე კორპუსში, საჯარო მმართველობის სპეციალობას ჰყავს სტუდენტები. მათ და ყველა სტუდენტს წარმატებული წელი უსურვა და აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაში ჩართვისკენ მოუწოდა. საზეიმო ღონისძიებაზე, უნივერსიტეტის სიგელებით დაჯილდოვდნენ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები.

პირველკურსელებს აქვთ გარკვეული მოლოდინი, – აღნიშნა რექტორის მოადგილემ ახალქალაქის კორპუსში, **ვასილ მოსიაშვილმა, – ჩვენ, აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალი, მზად ვართ, შესაძლებლობის ფარგლებში, გავამართლოთ მათი მოლოდინი და მეტიც გავაკეთოთ. გისურვებთ ბედნიერ სტუდენტობას. პირველ რიგში, თქვენ უნდა მიიღოთ აკადემიური განათლება. ამასთან, გისურვებთ შინაარსიანი სტუდენტური ცხოვრების გატარებას.**

შთამბეჭდავი იყო მოწვეული პედაგოგის **გრიგოლ ვართიკიანის** მიერ წარმოთქმული ფრაზები, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ქართველი და სომეხი ახალგაზრდებისთვის ინტეგრაციის უნივერსიტეტი და ამ დანიშნულებას ის პირნათლად ასრულებს.

დასასრულს, უნივერსიტეტის რექტორმა მადლობა მოახსენა იმ ადამიანებს, ვინც ახალქალაქში არსებულ მესამე სასწავლო კორპუსში მუშაობს და უძღვება ახალგაზრდების სწავლა-განათლების პროცესს.

ლიკა ზაზაშვილი

„ქართული ონომასტიკა აღმაფრენ გზაზეა“

რესპუბლიკური ონომასტიკური კონფერენცია

მიეძღვნა პროფესორ მერაბ ბერიძის 70 წლის იუბილეს

პირველი გვერდიდან

28 სექტემბერს, პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში შეკრებილთ – მეცნიერებს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებიდან, სამეცნიერო დაწესებულებებიდან, სახელმწიფო ენის დეპარტამენტიდან, სამხარეო ადმინისტრაციიდან, მიესალმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მაკა ბერიძე**. მან აღნიშნა, რომ ონომასტიკოსთა კონფერენცია მეხუთედ ტარდება უნივერსიტეტში და კიდევ ბევრჯერ გაიმართება, მაგრამ უკვე ჩატარებული და ჩასატარებელი ღონისძიებებისგან განსაკუთრებული ნიშნით გამოირჩევა, რადგან იგი ეძღვნება პროფესორ მერაბ ბერიძის 70 წლის იუბილეს. **გილოცავთ, ბატონო მერაბ,** – მიმართა იუბილარს, – **ამ მნიშვნელოვან თარიღს; გილოცავთ ადამიანს, რომელმაც თითოეული წელი, თითოეული დღე სამშობლოს სამსახურში გაატარეთ; გილოცავთ იუბილეს ადამიანს, რომელმაც შეძლო, თავისი თანამოაზრეების გვერდით დგომით, შეეცვალა სამცხე-ჯავახეთის განვითარების პერსპექტივები; გილოცავთ ადამიანს, რომლის საქმიანობაზე, სიტყვები არა, საქმენი თავად ღაღადებენ, ამაზე ღაღადებენ თქვენი აღმართული ქვა-ჯვრები, ამაზე ღაღადებენ ეკლესია-მონასტრები, თქვენი და თქვენი ოჯახის წევრთა ჩართულობით, რაც გარკვეულ ტრადიციად იქცა. ამაზე ღაღადებს ამ უნივერსიტეტში გამოზრდილი თაობები, ამაზე ღაღადებს მადლიერი ადამიანების ძალიან დიდი ლაშქარი. პირადად, ჩემი სახელით მინდა მოგახსენოთ ულრმესი მადლობა, როგორც მასწავლებელს. თქვენ ხართ მეცნიერი და აქ მყოფი მეცნიერთა დიდი ნაწილი დღეს ამ კონფერენციაზე სწორედ თქვენმა 70 წლის იუბილემ შეკრიბა. თქვენ ბრძანდებით მეცნიერი, მაგრამ თქვენ გაქვთ საოცარი უნარი, ამავდროულად, იყოთ დიდი მასწავლებელი. მე ვარ ის შემთხვევა, როდესაც, როგორც ოსტატმა თავის მოწაფეს ხეზე ასვლაც ასწავლეთ. ძალიან დიდი მადლობა და კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს.**

რექტორმა წარმატებული მუშაობა უსურვა კონფერენციას და სიტყვა გადასცა სტუმრებს.

კონფერენციის მონაწილეთ და იუბილარს მიესალმნენ საქართველოს პარლამენტის წევრი **გიორგი კოპაძე,** სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **შალვა ბერძენიშვილი,** რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი **მარინა გაჩეჩილაძე.** მათ ისაუბრეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უდიდეს დამსახურებაზე, როლსა და მნიშვნელობაზე რეგიონში. აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი, საერთოდ, ეროვნული ღირებულებების ფორმირებაში და განვითარებაში ძალიან დიდ როლს თამაშობს ჩვენს მხარეში. ღირებულებები, რასაც უნივერსიტეტი ამკვიდრებს, მისაღებია ყველა ეთნოსის წარმომადგენელისთვის და რომ ამ მიმართულებით გადადგმულია უამრავი ნაბიჯი. გულითადად მიესალმნენ იუბილარს, მადლობა მოახსენეს დიდი ღვაწლისთვის და წარმატებები უსურვეს კვლავაც.

არ შეიძლება, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტზე ისაუბრო და მერაბ ბერიძე არ ახსენო. – აღნიშნა მარინა გაჩეჩილაძემ. – **ის არის ადამიანი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ უნივერსიტეტს. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ბევრი მიმართულებით, ძალიან ბევრი საქმე გაკეთებულა მისი ინიციატივით, მათ შორის, ტოპონიმიკის სფეროში, სადაც ბევრი პრობლემაა და მათი მოგვარება, დალაგება და განვითარება ბატონი მერაბის დიდი დამსახურებაა. სასიამოვნოა, რომ ამ ტრადიციებს ქალბატონი მაკას სახით ჰყავს გამგრძელებელი. კიდევ ერთხელ წარმატებას გისურვებთ ყველას და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელმაც განუსაზღვრელად დიდი როლი შეასრულა არა მარტო ამ ქალაქის, არამედ ჩვენი რეგიონის კლიმატის შეცვლაში. ძალიან კარგია, როდესაც ხელისუფლებას და საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს ინტენსიური კონტაქტი, რომელიც ყოველთვის შედეგის მომტანი იქნება. ამ მიმართულებით ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს.**

შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი:**

მოგესალმებით, ქალბატონებო და ბატონებო. ძალიან საამაყოა თითოეული ჩვენგანისთვის, რომ ასეთი წარმომადგენლობითია ჩვენი შეხვედრა და ვიკვლევთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის ტოპონიმიკა. რაც უფრო ღრმად ჩაიხედები ტოპონიმიკაში, მით უფრო რწმუნდები, რომ ეს გახლავთ ჩვენი სახელმწიფოს ერთგვარი პასპორტი, ჩვენი იდენტობის განმსაზღვრელი და მით უფრო მისასალმებელია, რომ განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი იჩენს ამაში ასეთ თანადგომას. ჩვენ რეფერენდუმი გავაფორმეთ უნივერსიტეტთან და ძალიან მრავალი კუთხით თანამშრომლობა გვიწევს. აღვნიშნავ, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერა იქნება ძალიან მნიშვნელოვანი. კიდევ ერთი რამ მინდა გამოვყო – ბატონი მერაბი ჩვენი ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარეა. მინდა, მივულოცო მას იუბილე და ხაზი გავუსვა, რომ ეს მეცნიერებისათვის და კიდევ უფრო დაბეჯითებული, დინჯი კვლევისათვის, სწორედაც რომ სასურველი ასაკია. აუცილებელია ითქვას ის, რომ ბატონი მერაბი მოდის უკეთილშობილესი ოჯახიდან და მას აქვს ასეთივე ოჯახი თავისი მონაგარით. კიდევ ერთხელ მივულოცავ და ვუსურვებ წარმატებას. დეპარტამენტის სახელით ბატონმა გიორგიმ იუბილარს გადასცა სპეციალური ჯილდო – სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ლოგო.

თინათინ ბოლქვაძემ, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსმა, სხდომაზე წარმოადგინა პლენარული მოხსენება სახელმწიფო ენის დეპარტამენტის უახლოესი მიზნებისა და ამოცანების შესახებ. როგორც ქალბატონმა თინათინმა აღნიშნა, საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში გაიმართა ანალოგიური პრეზენტაცია. მან ვრცლად ისაუბრა სახელმწიფო ენის შესახებ კანონზე, რომლის საფუძველზეც არსებობს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.

მერაბ ბერიძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, საპატიო სტუმრის სტატუსით, იყვნენ მოწვეულნი იუბილარის ოჯახის წევრები: მეუღლე – **ნათელა ნაცვლიშვილი-ბერიძე** – უნივერსიტეტის პედაგოგი, ვაჟიშვილები – **ვასილი, ზვიადი, ბექა,** მეუღლეებთან და შვილებთან ერთად; უნივერსიტეტს აჭარიდან ეწვივნენ: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი – **ვაჟა ბერიძე,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მსოფლიო ქირურგთა ასოციაციის საპატიო წევრი – **აკაკი ბერიძე** და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი – **ჯემალ ბერიძე.** განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით იყო სავსე მათი საგვარეულოს დიდი წარმომადგენლის მიმართ წარმოთქმული სიტყვა. ბატონმა ვაჟამ წინადადება შემოიტანა, რომ ერის წინაშე, სამცხე-ჯავახეთში გაწეული უდიდესი ღვაწლისთვის, მერაბ ბერიძე წარდგენილი იქნეს დავით აღმაშენებლის ორდენზე და თხოვნით მიმართა კონფერენციის მონაწილეთ, სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, სათანადო ნაბიჯი გადადგან ამისთვის. დარბაზში მყოფნი აპლოდისმენტებით შეხვდნენ ბატონი ვაჟას წინადადებას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **ქეთევან გოდერძიშვილმა** ისაუბრა მერაბ ბერიძის სამეცნიერო მოღვაწეობისა და დამსახურების შესახებ.

დასასრულს, იუბილარმა მადლობა მოახსენა შეკრებილ საზოგადოებას გულითადი მისალმებებისთვის და წარმატებული მუშაობა უსურვა კონფერენციას.

კონფერენციამ მუშაობა განაგრძო სამ სექციაში. პირველ სექციას ხელმძღვანელობდნენ პროფესორები – **მარიკა ჯიქია** და **რამაზ ქურდაძე**, მეორე სექციას – პროფესორი **შუქია აფრიდონიძე** და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **მერაბ ჩუხუა,** მესამე სექციას – ფილოლოგიის დოქტორი **მარინა ბერიძე** და ასოცირებული პროფესორი **რევაზ შეროზია.**

* * *

29 სექტემბერს, კონფერენციის მონაწილეებმა, პირველ კორპუსში, ყვავილებით შეამკეს გრიგოლ ხანძთელისა და ივანე ჯავახიშვილის ძეგლები და უნივერსიტეტის მუზეუმში დაათვალიერეს შიდა საუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოებით სტუდენტების მიერ მოპოვებული არქეოლოგიური მასალის გამოფენა. შემდეგ პროფესორ სერგო მელიქიძის სახელობის აუდიტორიაში შეიკრიბნენ სექციებზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების, ზოგადად, სექციების მუშაობის შეფასების მიზნით. სულ წაკითხული იქნა 33 მოხსენება. სექციების ხელმძღვანელებმა მაღალი შეფასება მისცეს თითოეულ მათგანს. აღნიშნეს, რომ ყველა მოხსენება იყო მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული, რომ ეს არ იყო თხრობა, ეს იყო სამეცნიერო პოლემიკა, მეტად კორექტული და დიდძალ ლინგვისტურ-ფაქტობრივ მასალაზე დამყარებული. იყო დასაბუთებული და საინტერესო მსჯელობა. თითქმის, ყველა მი-

გაგრძელება მე-4 გვ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გაზეთი
მესხეთის უნივერსიტეტი

მე-3 გვერდიდან

მართულებით, ახალი მასალა იყო წარმოდგენილი.

სექციის ხელმძღვანელებმა თითოეულ ნაშრომზე გამოთქვეს მხოლოდ დადებითი აზრი, უფრო მეტიც – ბევრი მათგანი საუკეთესოდ მიიჩნიეს.

პროფესორმა მარიკა ჯიქიამ აღნიშნა, რომ ძალიან საინტერესო იყო მათ სექციაზე წაკითხული მოხსენებები, თუმცა, გულისტკენით დასძინა, რომ არ მიეცათ საშუალება, მოესმინათ მეორე და მესამე სექციის საინტერესო მოხსენებებისთვის.

პროფესორმა შუქია აფრიდონიძემ აღნიშნა, რომ ლინგვისტური ანალიზი ძალიან მაღალ დონეზე იყო წარმოდგენილი. **მიხარია, რომ ქართული ონომასტიკა მეტად მაღალ სამეცნიერო დონეზე, აღმავალ გზაზეა,** – დასძინა მან.

ონომასტიკური კონფერენციის შემაჯამებელი სხდომა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, სამეცნიერო დარგში, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ** დაასრულა:

პირველ რიგში, ულრმეს მადლობას მოგახსენებთ ყველას იმ ორი დღისთვის, რომელიც ასე გულწრფელად, ასე ადამიანურად, მეგობრულად მაჩუქეთ. მართალია, ტრადიციად არის ქცეული ონომასტიკური შეკრებები ჩვენთან, მაგრამ მას სერიოზული ხელშეწყობა და მხარდაჭერა სჭირდება, რისთვისაც უნივერსიტეტის რექტორს, ქალბატონ მაკას მადლობას მოვახსენებ.

რაც შეეხება კონფერენციის შედეგებს: პირველი, რაც მინდა გთხოვოთ, დავაჩქაროთ კრებულის გამოცემა. ცოტა განსხვავებული იქნება ეს კრებული პირველ რიგში იმით, რომ ენის დეპარტამენტი მიიღებს მასში მონაწილეობას და განსაკუთრებით უნდა გამოიკვეთოს ეს მონაწილეობა. საჭიროა, რომ ჩვენ მოგვეცეს საშუალება, მეტი ვითანამშრომლოთ, როგორც კონფერენციამ და როგორც პიროვნებებმა. უნივერსიტეტისა და ენის დეპარტამენტის ორი წლის ერთად მუშაობას სათანადო შედეგები ექნება.

მომავალი წლისთვის აუცილებელია იუსტიციის სამინისტრო ჩავრთოთ ჩვენი კონფერენციის ერთ-ერთ ორგანიზატორად და თანამონაწილედ. ეს კიდევ უფრო წინ წასწევს მეცნიერებისა და სახელმწიფოს ურთიერთთანამშრომლობას.

რაც შეეხება სერტიფიკატებს, მომავალში უეჭველად მოგართმევთ სერტიფიკატს ჩვენს შეხვედრასთან დაკავშირებით. უკვე ვისაუბრე ქალბატონ მაკასთან, რომ ჩვენი უნივერსიტეტი ერთი სოფლის ტოპონიმიას ავტორის ფინანსური ჩარევის გარეშე გამოსცემს, 50 ეგზემპლარს. შეიძლება ტირაჟი გაიზარდოს თანადაფინანსებით. მთავარია, არსებობდეს სარედაქციო საბჭო, რომელიც რეკომენდაციას გაუწევს და დაადასტურებს, რომ ეს არის წიგნი, რომელიც მზადაა გამოსაცემად და მიზანშეწონილია მისი გამოცემა.

ნებისმიერი კონფერენცია გარკვეულ იდეებს ბადებს, გარკვეული სიახლეებისკენ უბიძგებს მონაწილეს. თუ ჩვენ შევქმნით ჯგუფს, თუმცა, ჩვენ უკვე ჯგუფი ვართ, ვინც ვართ, ვინც ყოველ წელს ვხვდებით, გავაღრმაოთ კონტაქტები მთელი წლის განმავლობაში. ამასთან დაკავშირებით ჩვენ უკვე ვისაუბრეთ რექტორთან. უნივერსიტეტი გვპირდება, გამოსცეს კრებული „21-ე საუკუნის ონომასტიკა". ეს იქნება პერიოდული გამოცემა. 21-ე საუკუნე, როგორც ჩანს, ონომასტიკის საუკუნეა, მთელ პოლიტიკას განსაზღვრავს ონომასტიკა დღეს. თუ თქვენ თანახმა იქნებით, ჩავატარებთ საორგანიზაციო სამუშაოს, შეგეხმიანებით, წინადადებები ერთად შევიმუშაოთ და მე ვფიქრობ, შედეგი ნამდვილად იქნება. ყველაფრისთვის ძალიან დიდი მადლობა.

სხდომები – ყოველთვის ძალიან მაღალ დონეზე მიმდინარე, კამათი – ძალიან კოლეგიალური და ძალიან სასიამოვნო, გარდა მეცნიერული აზრის გაცვლისა, ადამიანებთან შეხვედრის, ადამიანებთან კონტაქტის ერთ-ერთი საშუალებაა.

როდესაც ონომასტიკაზე ვსაუბრობთ და ამ კონფერენციებს ვეხებით, შეუძლებელია არ გამოვყოთ ბატონი მერაბის დამსახურება, საერთოდ, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ფილიალის შექმნაში, მისი ერთგულება, თავგანწირვა საქმისადმი. მე ბატონ მერაბს დავახასიათებდი არა ორიგინალური სიტყვით, მაგრამ მას ეს სიტყვები შეეფერება – ულმობელი საქმის კაცი. ასევე ახასიათებდნენ ექვთიმე თაყაიშვილს და მე ვთვლი, რომ ეს სიტყვები ბატონ მერაბსაც შეესაბამება, იმდენი კარგი საქმე მიიყვანა ბოლომდე. იშვიათია ადამიანი, რომელშიც პედაგოგიური ნიჭი, ადმინისტრაციული უნარი და მეცნიერული კვლევის საოცარი უნარი თანაარსებობს. შეიძლება იყო კარგი პედაგოგი, ვერ იყო კარგი მეცნიერი, მითუმეტეს – კარგი ადმინისტრატორი. აი, ეს სამივე ბატონ მერაბში არის ძალიან ჰარმონიულად შეთავსებული.

ვულოცავ მას საიუბილეო თარიღს. ვუსურვებ ასეთივე ჯანმრთელობას, როგორც დღეს არის, ასეთივე ულმობელ საქმიანობას და თქვენს გაზეთს, თქვენს მხარეს და სრულიად საქართველოს ვუსურვებ ერთიანი საქართველოს ხილვას. მოვსწრებოდეთ ამ დიდ საქმეს ყველა ერთად.

რამაზ ქურდაძე, ***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის ხელმძღვანელი, პროფესორი:***

ბატონი მერაბ ბერიძე იმ კათედრის წევრი გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის წევრი მეც ვიყავი და ამჟამად ხელმძღვანელი ვარ. ეს იყო ახალი ქართული ენის კათედრა. მაშინ ერქვა ტოპონიმიკის ლაბორატორია და იქ მუშაობდა ბატონი მერაბი. ახლა ამ ლაბორატორიას ჰქვია ქართული ონომასტიკის სამეცნიერო ცენტრი. მართალია, ბატონმა მერაბმა დატოვა ლაბორატორია 1990 წელს, მაგრამ დატოვა ძალიან საპატიო, მამულიშვილური მიზნით, რომ აქ, ახალციხეში, აეღორძინებინა საგანმანათლებლო კერა და სათავეში ჩაუდგა უნივერსიტეტს, რომელიც მძლავრი საგანმანათლებლო კერა გახლავთ დღეს, მაგრამ მერაბს არ გაუწყვეტია კავშირი იმ ლაბორატორიასთან, იმ კათედრასთან, ვისი აღზრდილიც გახლავთ. ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას კონფერენციებში, აქვეყნებს ნაშრომებს. ბატონი მერაბი ძალიან დიდი ძალაა არა მარტო ამ რეგიონისათვის, ამ უნივერსიტეტისათვის, არამედ ტოპონიმიკის, ონომასტიკის სფეროში მისი კვლევები ძალიან მნიშვნელოვანია. გუშინ აქ გაიხსნა საიდუმლო, რომ მას სხვა მიმართულებითაც აქვს ნაშრომები, პოეზიის თვალსაზრისით და ასე შემდეგ, მაგრამ მისი ძირითადი სპეციალობა მაინც გახლავთ ონომასტიკა. დღეს ჩვენ ძალიან ბედნიერები ვართ, რომ გვყავს ასეთი სპეციალისტი ონომასტიკაში.

რაც შეეხება კონფერენციას, ძალიან ტევადი, ძალიან აკადემიური გახლდათ. აქ იყო გახსნა, პლენარული სხდომა, მუშაობდა სამი სექცია, ერთ-ერთი სექციის თავმჯდომარე მე გახლდით, ქალბატონ მარიკა ჯიქიასთან ერთად. საინტერესო იყო ის, რომ მომხსენებელთა უმეტესობას ჰქონდა მოხსენება ტოპონიმებისა და ონომასტიკური მასალის შესახებ მხატვრულ ნაწარმოებებში, იმის შესახებ თუ რა როლს ასრულებენ ისინი დღეს ქართულ პოეზიაში. უნდა გითხრათ, რომ ძალიან დიდ როლს ასრულებენ და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ კონფერენციაზე ასეთი მოხსენებები იქნა წარმოდგენილი. იმედია, რომ ასეთი ღონისძიებები კვლავაც გაგრძელდება ტოპონიმიკის, ონომასტიკის თვალსაზრისით. დღევანდელი ჩვენი კონფერენცია კიდევ იმიტომ იყო მნიშვნელოვანი, რომ იგი ეძღვნებოდა მერაბ ბერიძის 70 წლისთავს. ბატონი მერაბი ძალიან ენერგიულად ხვდება ამ თარიღს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და, რაც მთავარია, დიდ წარმატებებს. დარწმუნებული ვარ, მას ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია.

თინათინ ბოლქვაძე, ***სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროგრამის სამსახურის უფროსი:***

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი არის თანაორგანიზატორი ამ კონფერენციის. უკვე მეორე წელია, ჩვენ მონაწილეობას ვიღებთ, უნივერსიტეტთან ერთად, მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში, ონომასტიკური პრობლემების შესახებ დაგეგმილ კონფერენციაში. ყოველთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია კონფერენცია. ამჯერად მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ იგი დაემთხვა ბატონი მერაბ ბერიძის 70 წლისთავს. მოგეხსენებათ, მას ძალიან დიდი წვლილი აქვს აქაური ტოპონიმიკის შესწავლაში, ხოლო სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმიკა ჩვენთვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ჩვენ – სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, ვთანამშრომლობთ უნივერსიტეტთან ამ საკითხთან დაკავშირებით ისე, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, რათა ეს ტოპონიმები იყოს აღწერილი და იყოს სწორად გაშვებული საქმის წარმოებაში და რეესტრში ასახული. სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა ბატონ მერაბს გადასცა სპეციალური ჯილდო – ამ დეპარტამენტის ლოგო და ამას გარდა, ჩვენ წარმოვადგინეთ პრეზენტაცია იმის შესახებ, თუ რა მიზნები და ამოცანები აქვს უახლოესი სახელმწიფო ენის დეპარტამენტს.

ქეთევან მარგიანი, ***სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი:***

კონფერენცია იყო ძალიან საქმიანი და თემატურად ძალიან მრავალფეროვანი. ამ ორდღიანი ღონისძიების თითოეული დეტა-

„ქართული ონომასტიკა აღმავალ გზაზეა"

რესპუბლიკური ონომასტიკური კონფერენცია

მიეძღვნა პროფესორ მერაბ ბერიძის 70 წლის იუბილეს

კონფერენციის მუშაობის შემაჯამებელ სხდომაზე ბოლო და სასიამოვნო აკორდად გაიჟღერა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარის **გიორგი ალიბეგაშვილის** ერთადერთმა ფრაზამ: **მხოლოდ სიხარულს მოგგვრის და სიამაყით აღგავსებს ისეთი ქართული სული, რომელიც ამ უნივერსიტეტშია.**

ვიდრე მეცნიერები დატოვებდნენ უნივერსიტეტს, ჟურნალისტებმა ჩაწერეს ბევრი მათგანის შთაბეჭდილება კონფერენციისა და იუბილარის – მერაბ ბერიძის შესახებ. მოვუსმინოთ, გაზეთის თანამშრომლებს რა სათქმელი გაუმხილეს მათ.

ქეთევან ჯერვალიძე, ***საქართველოს ბიზანტიოლოგთა ეროვნული კავშირის წევრი, დამოუკიდებელი მკვლევარი:***

ონომასტიკოსთა რესპუბლიკური კონფერენცია ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რაც ამ უნივერსიტეტში ტარდება. მე მონაწილე ვარ თქვენს რეგიონში ჩატარებული ექვსი კონფერენციის. ეს არის არაჩვეულებრივად ორგანიზებული, ტექნიკური თვალსაზრისით, კონფერენციები, ხოლო მისი დანიშნულება ქვეყნისთვის არის შეუფასებელი, ფასს ვერ დაადებ, ისეთი საქმე კეთდება არა მარტო ამ რეგიონისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის.



ლი შინაარსობლივად იმდენად იყო დატვირთული, იმდენი ინფორმაცია მივიღე, რომ გარკვეული დრო დამჭირდება, ყველაფერი სიღრმისეულად გავითავისო და გავიაზრო. ჩემი მადლიერება რაღა იქნება, მაგრამ საქართველო ნამდვილად ეტყვის მადლობას მერაბ ბერიძეს. ვუერთდები საერთო განწყობას და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, ბატონი მერაბ ნაჭყებიას სახელით, ვულოცავ ბატონ მერაბს იუბილეს. ღმერთმა ბევრი საქმე აკეთებინოს. კონფერენციაზე და პლენარულ სხდომაზეც ითქვა ბევრი რამ მნიშვნელოვანი და მისი ღვაწლი შედარდა გრიგოლ ხანძთელის ღვაწლთან. მეც ვუერთდები ამ საერთო აზრს. დიდ მადლობას მოვახსენებ კონფერენციის ორგანიზატორებს ასეთი საინტერესო შეხვედრისთვის.

მერაბ ჩუხუა, ***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი:***

მოხარული ვარ, რომ კიდევ ერთხელ აღმოვჩნდი ახალციხეში და მის შესანიშნავ უნივერსიტეტში. მეტად მახარებს ის, რომ უნივერსიტეტმა და, საერთოდ, სამეცნიერო წრეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, აღენიშნათ დიდი ქართველი მამულიშვილის, გამორჩეული მეცნიერის მერაბ ბერიძის 70 წლის იუბილე. მართალი გითხრათ, ამით უფრო ვარ მოხიბლული. რატომ? იმიტომ, რომ მერაბი არის მასშტაბური პიროვნება, რომელმაც დაიწყო საუნივერსიტეტო აღმშენებლობის საქმე სამცხე-ჯავახეთში და მიიყვანა ბოლომდე. წარმატება იმდენად მასშტაბურია, რომ გგონია, ამას იქით მხოლოდ განვითარება უწერია ამ მამულიშვილურ საქმეს. ის არ არის მხოლოდ მეცნიერი. მე მას ვუყურებ, როგორც დიდ სტრატეგოსს, რომელსაც ასევე გამორჩეული პოლიტიკური ალღო ახასიათებს და შედეგიც არის აქედან გამომდინარე. ანუ მას კონცეპტუალური მიდგომა ჰქონდა. სხვაგვარად ასე საქმე ვერ აეწყობოდა. მიხარია, როგორც ჩემი ქვეყნის შვილს, როგორც მის მეგობარსა და კოლეგას.

მარინა ბერიძე, ***სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი:***

ეს ორი დღე იყო შთაბეჭდილებებით სავსე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მოგეხსენებათ, ტრადიციულია ონომასტიკის თემატიკასთან დაკავშირებული კონფერენციები. აქ იკრიბება ყველა ონომასტიკოსი და ამ პრობლემით დაინტერესებული მკვლევარი. წელს განსაკუთრებული იყო კიდევ იმიტომ, რომ მერაბ ბერიძის საიუბილეო თარიღს დაემთხვა. ბევრი ითქვა მერაბის ღვაწლზე ამ დღეებში. მე ვიტყვი, როგორც ბავშვობიდან მის ჩრდილში გაზრდილი ადამიანი. მერაბი ჩემი მეზობელი იყო, ჩვენი მშობლები მეგობრობდნენ და ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. ფაქტობრივად, როგორც სისხლის ნათესავები, ისე გავიზარდეთ.

ბატონი მერაბი ჩვენი ოჯახისთვის ყოველთვის იყო სანიმუშო. ჩვენ სამი დედმამიშვილი ვიზრდებოდით და უფლება არ უნდა მიგვეცა თავისთვის, რომ ცუდები ვყოფილიყავით. სულ ვგრძნობდი, რომ მის გაკვალულ გზაზე მივდიოდი და სულ ვგრძნობდი, რომ მარტო არ ვიყავი. საოცარი სიმტკიცის ადამიანი იყო. მისი დედისგან ვიცი, რომ ბავშვობაში, ნებისყოფა რომ გამოეწრთო (ეს მიზნად დაისახა), სამი კილო ხორბალი დათვალა. როდესაც რაღაც გამჭირვებია და ვხვდები, რომ ეს ჩემი ნებისყოფის პრობლემაა და სხვა არაფერი, სულ ის სამი კილო ხორბალი მახსენდება და ვფიქრობ – სამი თუ არა, ერთი მაინც ხომ უნდა დავთვალო. ასეთი გაკვეთილები მაქვს პირადი ამ ადამიანისგან და საზოგადო გაკვეთილები კი, რაც მან გააკეთა ქვეყნისთვის, ბევრისგან ითქვა.

არიან ადამიანები, რომლებიც შეიძლება შემოგედავონ – იცით, მერაბს არ დაუარსებია ახალციხის უნივერსიტეტი... ეს იყო ფილიალი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის. ვისაც საბჭოთა კავშირში უცხოვრია, მან იცის, რამდენი რკინის ქალამანი უნდა გაეცვითა ადამიანს, ამ გადაწყვეტილებისთვის რომ მიეღწია, რამდენი კარი უნდა ემტვრია ფუნქციონერთან, უვიცთან, უწიგნურთან, დაემცირებინა თავი. ამიტომ, ძალიან დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ და მხოლოდ ერთი ადამიანის დამსახურებაა უნივერსიტეტის არსებობა. ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ, როგორც გითხარით, მეშინია, არ ჩამეთვალოს მიკერძოებაში იმიტომ, რომ მეზობელი ვარ, ნათესავი ვარ, მიყვარს, რა თქმა უნდა, ვერ ვიქნები მთლად ობიექტური, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ – დღეს ჩვენი მხარე რომ არის ასეთი, როგორიც არის, ამ ადამიანის დამსახურებაა. ეს რაც შეეხება საკუთარი კუთხის, საკუთარი ქვეყნის მსახურებას, ეს კონფერენცია კი გახლავთ პროფესიული ერთგულების გამოხატულება. ის მარტო თავისი წიგნებითა და შემოქმედებით კი არა, დარგის განვითარებისთვის, დარგში მუხტის შენარჩუნებისთვის, სწორი გადარჩევისთვის, სწორი რეცენზირების, ოპონირების არმოშლისთვის ყოველწლიურად ატარებს ონომასტიკურ კონფერენციას. ჩვენ გუშინ აქ მოვისმინეთ ბევრი მოხსენება, რომელსაც სჭირდებოდა კარგი ოპონენტი და ეს ოპონენტი იქვე იყო, გვერდით, რომელსაც სჭირდებოდა კარგი შემფასებელი და დამფასებელი. მხოლოდ და მხოლოდ ეს ანვითარებს დარგს. მარტო წიგნების წერით დარგი არ ვითარდება. ჩვენ არც კი ვიცით, ხანდახან, წაიკითხეს თუ არა ეს წიგნები, ისეთ დროში ვცხოვრობთ.

შუქია აფრიდონიძე, ***ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს -პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი:***

პირველყოვლისა, დიდი სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ 70-იან წლებში მე გახლდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი. სწორედ ამ პერიოდში მივიღე ლაბორატორიის თანამშრომლებად ოთხი ახალგაზრდა – მერაბ ბერიძე, რეზო ძნელაძე, სერგო მელიქიძე, მურად კემულარია. ეს ძალიან დიდი ძალა იყო, როგორც სისხლის გადასხმა, ისე იყო საჭირო. მერაბს ვიცნობდი, როგორც ინიციატივიან სტუდენტს. მან გამოიჩინა განსაკუთრებული ნიჭი, უნარი, ინიციატივა და ინტერესი და კიდევ – პატრიოტიზმი. საქართველოს სამხრეთი რაიონების შესწავლა ითავეს, ფაქტობრივად, მერაბმა და სერგომ (სამწუხაროდ, ის ცოცხალი აღარაა). მერაბი შემდეგ უნივერსიტეტში დაფუძნდა, ამ თავის მხარეში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დედაქალაქიდან წახვიდე პერიფერიაში და ეს პერიფერია საამაყო გახადო მთელი საქართველოსათვის. ყოველ შემთხვევაში, ასეთია საუნივერსიტეტო საქმე. ჩვენ დღეს უნივერსიტეტში ვნახეთ არქეოლოგიური გამოფენა, ვნახეთ მუზეუმი. მერაბი თავად გვიყვებოდა, როგორ მოიპოვა თითოეული მასალა, გვიყვებოდა დიდი სიყვარულით.

ონომასტიკა რა არის – ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ენათმეცნიერების შეჯამება. შედარებით ახალგაზრდა დარგია ონომასტიკა საქართველოში და მერაბმა ძალიან წინ წამოსწია ეს საქმე. კვლავ იდეებით არის სავსე, იცის ყოველი ქვა, წარწერიანი თუ უწარწერო, მათი წარმომავლობა. ის იწვის ამ საქმის სიყვარულით. ძალიან მიხარია, რომ დაემთხვა ჩვენი შეკრება მის იუბილეს. ნამდვილი ზეიმია ჩვენთვისაც. ის ძირფესვიანად დაკავშირებულია თავის მხარესთან, სასახელო მხარესთან, რომელმაც ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პირი შესძინა ისტორიასაც, ეთნოგრაფიასაც, ენათმეცნიერებასაც. მერაბი არის ცოცხალი განსახიერება საუკეთესო თვისებებისა, რომელიც, საერთოდ, ქართველ ადამიანს აქვს, თავისი ინტელექტით, ნებელობით, გონებით, ფიზიკური მონაცემებითაც... კიდევ ერთხელ მივულოცავ მერაბს იუბილეს და კვლავაც წარმატებას ვუსურვებ.

მანანა გუკია, ***თსუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი:***

ბატონ მერაბს ვიცნობ ძალიან დიდი ხანია და მინდა გითხრათ, რომ ის არის გამორჩეული ხედვის მეცნიერი, შრომისმოყვარე და პატრიოტი. რასაც ბატონი მერაბი აკეთებს, ეს არის დიდ პატრიოტიზმთან შეზავებული. ის არის ჩემთვის გამორჩეული ადამიანი. სადღაც, გვირაბში, მიდიხარ და იცი, რომ გვირაბის ბოლოს დიდი ნათელი გამოჩნდება. პირადად ჩემთვის, ეს არის ბატონი მერაბი, საიმედო ადამიანი, რომელსაც შეუძლია ნებისმიერ კეთილ წამოწყებას დაუჭიროს მხარი, გაგამხნევოს და დაგიდგეს გვერდში. ამიტომ ყველა საქმე გადავდე და გარდა იმისა, რომ ეს კონფერენცია, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ყოველწლიური ფორუმია, წლევანდელი განსაკუთრებულია, რადგან მიეძღვნა ბატონი მერაბის იუბილეს.

რაც შეეხება თვითონ კონფერენციას, ძალიან საინტერესო მოხსენებები იყო წარმოდგენილი, განსხვავებული მოსაზრებები, განსხვავებული შეხედულებები და კონსტრუქციული დიალოგი, დისპუტი. გული მწყდება მხოლოდ იმის გამო, რომ არ მომეცა საშუალება, მომესმინა ყველა მოხსენება, რომლებიც სხვა სექციებში წაიკითხეს ჩვენმა კოლეგებმა. მე ვთვლი, რომ ქართველურმა ონომასტიკურმა კვლევებმა ამ კონფერენციით ძალიან დიდი და სერიოზული ნაბიჯი გადადგა წინ. ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა უნივერსიტეტს. ყოველთვის სიხარულით მოვდივარ აქეთ იმიტომ, რომ აქ იჭედება ჭეშმარიტი აზრი. ძალიან დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

იგორ კეკელია, ***ისტორიის დოქტორი:***

ხშირი მონაწილე ვარ ამ კონფერენციების. საინტერესოა, რომ სისტემატური ხასიათი მიიღო. თემატიკა არის ძალიან საინტერესო. ერთ კონკრეტულ საკითხს ეხება ონომასტიკური პრობლემები. ზოგადად, ძალიან პრობლემური საკითხია საქართველოსთვის და აი, როგორც ბატონმა მერაბმა აღნიშნა, იმის მიუხედავად, რომ ქართველური ონომასტიკური კვლევის თვალსაზრისით ბევრი რამეა გაკეთებული საქართველოში, პოლიტიკური თვალსაზრისით მაინც ონომასტიკას გვაფარებენ თვალწინ და გვეუბნებიან, რომ ამ მიმართულებით ბევრი რამ მოუწესრიგებელია. მე მახსენდება, რომ აფხაზეთში, ონომასტიკური თვალსაზრისით, ძალიან დიდი პრობლემაა – ასე უმმერთოდ ცვლიან დასახლებული პუნქტების სახელებს აფხაზური სახელწოდებებით. ტოპონიმი და, საერთოდ, გეოგრაფიული სახელწოდება ინახავს ჩვენს წარსულს. ვინც ამ წარსულს უვლის და პატრონობს, ის ადამიანი, მეცნიერი უნდა დაფასდეს და ამ მიმართულებით უფრო მეტია გასაკეთებელი. მიხარია, რომ ორი სამეცნიერო უჯრედი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ონომასტიკის სამეცნიერი კვლევითი ცენტრი, მეორეს მხრივ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამ მიმართულებით ძალიან ნაყოფიერად მუშაობს და ამის დასტურია დღევანდელი ჩვენი შეხვედრაც. მიხარია ის, რომ ამ მიმართულებით მომუშავე ქართველი მეცნიერები ერთი კონკრეტული საკითხის გარშემო იკრიბებიან ყოველწლიურად ახალციხეში. თუ ეს ტრადიცია გაგრძელდება, მისასალმებელი იქნება.

მარინე ზედელაშვილი

ერისჯაცი

ნესტან სულავა
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მერაბ ბერიძე გახლავთ მაღალი პროფესიონალიზმით, იშვიათი გამძლეობითა და ძლიერი ვაჟკაცური ბუნებით გამორჩეული პიროვნება, ერისკაცი, მოღვაწე, მეცნიერი, პედაგოგი. ის იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ღრმა კვალს ტოვებენ ერის ისტორიაში, სიახლეს ამკვიდრებენ, ერის მომავლით ცოცხლობენ და მისთვის იბრძვიან. მისი სამეცნიერო ინტერესები, ენათმეცნიერებისადმი მიდრეკილება სტუდენტობიდანვე გამოიკვეთა, ხოლო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მისი მეცნიერული მუშაობის სფერო დაკონკრეტდა და ონომასტიკისაკენ გადაიხარა, რაც მკვლევარისაგან მეცნიერულ აღღოსა და შრომასთან ერთად, დიდ ფიზიკურ დატვირთვასაც მოითხოვს, რადგან ტოპონიმისტს მასალების შესაკრებად სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობა უწევს, ლამის მთელი საქართველოს ფეხით შემოვლა სჭირდება. იგი მუდმივად დადის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ეძებს ტოპონიმებსა და სიძველეებს, რაც ხვალ შეიძლება დაიკარგოს, რადგან ახალ თაობას თავისი ინტერესები უჩნდება და ტოპონიმი იკარგება. მის შრომებში ბევრია ისეთი, რომელიც სცილდება ტოპონიმიკის სფეროს, იგი მეცნიერული თვალსაწიერიდან, როგორც ტოპონიმიკის განვითარების ისტორიკოსისა და როგორც თანამედროვე მკვლევრის თვალით აფასებს ყოველივეს, რათა დაინტერესებულ პირს აჩვენოს მისი ისტორია და თანამედროვეობა ჰორიზონტალურ-ვერტიკალურ ჭრილში; მერაბ ბერიძე ისტორიული დროის გადასახედიდან განსაზღვრავს, რითაა ესა თუ ის ონომასტიკური ერთეული დღევანდელობისათვის მნიშვნელოვანი, ფასეული, რას ინახავს იგი, როგორია ქართველი კაცის ისტორიული მეხსიერება. მისი საქმიანობა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის გამო საშურ საქმედ უნდა მივიჩნიოთ.

მერაბ ბერიძის ეროვნული, მამულიშვილური სახის წარმოსაჩენად მინდა გავიხსენო ჩვენი სტუდენტობის წლები, როდესაც ჩემი თანაკურსელი ვაჟები, ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად, კვეტარაში ავიდნენ ტაძრის სარესტავრაციოდ. წარმოიდგინეთ, ეს იმ პერიოდში, XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, გმირობის ტოლფასი იყო, რადგან პირველი შემთხვევა გახლდათ, როდესაც უნივერსიტეტის სტუდენტები მესამე სემესტრის გასატარებლად სამუშაოდ რუსეთში, შორეულ ყამირზე კი არ წასულან, არამედ საქართველოში დარჩნენ და ტაძრის აღდგენაზე იმუშავეს. რა თქმა უნდა, დიდი დამსახურება მიუძღოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს, აკადემიკოს ილია ვეკუას, ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტების დეკანებს. მინდა გითხრათ, რომ გოგონები საოცრად ამაყები ვიყავით ჩვენი თანაკურსელი ვაჟების საქმიანობით და ეროვნული მუხტის წარმოჩენით.

ყველას ახსოვს, თუ როგორი რუდუნებით, სიბეჯითით, შეიძლება ითქვას, თავგანწირვით ქმნიდა მერაბ ბერიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალს, რომელიც, ფაქტობრივად, მისი მეოთხე შვილია. ამ მხრივ უსაზღვრო, ძალიან დიდია მისი დამსახურება. მერაბ ბერიძე ჩინებული მთხრობელი და მოსაუბრეა, იგი იშვიათი იუმორის გრძნობითაცაა დაჯილდოებული, რაც პიროვნების ღიაობას მოწმობს. იგი კარგი ლექტორია, ლექციების კითხვისას სტუდენტები სულგანაბულნი, დიდი ინტერესით ისმენენ ლოგიკური მსჯელობით გაჯერებულ მის საუბრებს.

მერაბ ბერიძეს ძალიან უყვარს ლიტერატურა და მოცალეობის ჟამს თავადაც ქმნის პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებებს, როგორც საკუთარი სულის სიტყვიერ გამოვლინებას. შეიძლება ითქვას, ამ მხრივ მკითხველი საზოგადოების ნაწილი სასიამოვნოდ გააკვირვა. ახლახან დაიბეჭდა მერაბ ბერიძის ლექსების კრებული მეტაფორული შინაარსის მქონე სახელწოდებით: „უნდა იფხიზლო მაშინ, როცა მგლებსაც კი სძინავთ", რომელმაც ავტორი ენათმეცნიერად, ონომასტიკოსად და პოეტად ერთდროულად წარმოგვიდგინა. მისი ლექსები მისივე სულის ამოძახილი და ნააზრევი, ნაფიქრი, განცდისა და ძიების შედეგია, რომლებშიც ფიქრობს, განიცდის, ეძიებს და თავისი სათქმელი მიაქვს მკითხველამდე. მისი პოეტური ხილვები და წარმოსახვები, რომლებიც ძალდაუტანებლად მოედინება მის ლექსებში და ინდივიდუალურ, ორიგინალურ მსოფლხედვად წარმოგვიდგება; უმთავრესი სათქმელი, რომელიც დიალექტიკურ კავშირში წარმოაჩენს სამყაროს, სამშობლოსა და ადამიანს, რადგან ეს იმ სამის ერთიანობაა, რომლის უერთმანეთოდ წარმოდგენა და მათი ერთმანეთს დაცილება დისჰარმონიას იწვევს და კაცობრიობის კანონზომიერად განვითარების წეს-კანონებს არღვევს; ის, რაც თავისი ლექსებით გვითხრა, იშვიათი სისადავითა და პოეტურ ხატ-სახეთა ინდივიდუალური წარმოსახვით შემოგვთავაზა.

მინდა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით შევეხმიანო ჩემს მეგობარს, თანაკურსელს, ღირსეულ პიროვნებას – მერაბ ბერიძეს და ვუსურვო, რომ იხილოს მსოფლიოს კულტურულ სამყაროში ჩართული, თავისუფალი, ძლიერი, ერთიანი საქართველო, რომლის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეს ემსახურება თავისი მეცნიერული მოღვაწეობით და პოეზიით კი გამოხატავს კაცობრიობის, ერისა და ადამიანის ძირითად მისიას. მინდა სინათლით სავსე სულიერი სამყაროს ნაწილად აღიქვას ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო და კიდევ დიდხანს იღვაწოს მის საკეთილდღეოდ, დიდხანს მისცეს ძალა და ენერგია ჩვენი ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის გასამთლიანებლად ბრძოლისათვის, მამულის, ენისა და სარწმუნოების ერთიანობის დასაცავად, ღმერთმა უბოძოს ხანგრძლივი სიცოცხლე სამშობლოს, მშობლიური კუთხის – მესხეთის აღორძინებაში ღვთისგან მისთვის დაკისრებული წვლილის შესატანად.

მერაბ ბერიძე – სამცხე-ჯავახეთის ერთგვარი სიმბოლო

ქეთევან გოდერძიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

მერაბ ბერიძე – ნამდვილად არ უნდა ჩამეთვალოს გაზვიადებულ ნათქვამად, რომ ეს სახელი წარმოვადგინო სამცხე-ჯავახეთის ერთგვარ სიმბოლოდ. გარდა მერაბ ბერიძის თვალხილული დამსახურებისა ამ დიდებული კუთხის მიმართ, ამის თქმის უფლებას მაძლევს ის ოქროს მედალი, რომელიც გადაეცა მას, როგორც „დიდ მესხად" წოდებულს.

სიმბოლოდ იქცეს შენი სახელი და დიდ მესხად სახელგდვან სულ რაღაც 30 წლის მანძილზე – დიდი გმირობაა. ესაა 30 წლის ჯაფით დატვირთული წლები. ეს ღვაწლი კი ერთი მშვენიერი დღიდან, ვთქვათ, 1990 წელს ახალციხეში უნივერსიტეტის გახსნით არ დაწყებულა. დიდი ღვაწლი არ იწყება ნულოვანი მაჩვენებლიდან. მერაბ ბერიძის ღვაწლს საძირკველი ჩაუყარა იმ მიწის სიყვარულმა, რომელსაც ბავშვობიდანვე ეზიარა. მისი ნაწერებიდან იგრძნობა, რომ ყრმობისას უფრო მეტად ჩაღრმავებია წინა თაობის გაკვალულ გზასა და იმ კუთხის ისტორიას, რომელსაც ხმალამოღებული იცავდა „ომიანი" და „ცხენლამაზუნაგირიანი" ერეკლე. ერეკლესთან შედარების მიზნით არა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მერაბი კალამმომარჯვებული იცავს თავისი კუთხის ღირსებას. „ათასწლეულობით ვზომავთ წარსულს", – წერს ბატონი მერაბი წერილში „ასპინძა და ასპინძელობა". სწორედ ეს ათასწლეულები ავალებს ავტორს, იყოს ისეთი, როგორიც არის!

ყრმობის შემდეგ მეორე საყრდენი მერაბ ბერიძისთვის იყო ის გარემო, რომელშიც ტრიალებდა როგორც მეცნიერ-თანამშრომელი – ჯერ უმცროსი, შემდეგ უფროსი. ეს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიკის ლაბორატორია. ასე რომ, ბედმა მას ისეთი სამუშაო განუსაზღვრა, უშუალოდ რომ ჩამდგარიყო თავისი კუთხის სამსახურში. მას შემდეგ (1969 წლიდან) რამდენი ათეული წელი გავიდა და ეს ღვაწლი არ შეუნელებია ამ ძირძველ მიწაზე. ამას ადასტურებს დღევანდელი დღე – ონომასტიკური კონფერენცია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამას ადასტურებენ ის დოქტორანტები, რომლებიც მერაბ ბერიძის ხელმძღვანელობით დგებიან ონომასტიკის სამსახურში. მერაბ ბერიძის ღვაწლის დასტურია ის წიგნები, რომლებიც ამშვენებენ ქართულ ონომასტიკურ მეცნიერებას.სერიიდან „ერთი სოფლის ტოპონიმია" მინდა გამოვყო „ნასოფლარი ერკოტა", რომელიც აშკარად ემშობლიურება ავტორს, ასევე წიგნები: „ტაძრები და სახელები", „სოფლები და ნასოფლარები". განსაკუთრებული დანიშნულებისაა წიგნი, რომლითაც იგი ესარჩლება მაჰმადიან მესხებსა და მათს ფესვებს. ასე რომ, მერაბი ნამდვილად იმსახურებს „დიდი მესხის" ტიტულს. მერაბ ბერიძის მრავალი სამეცნიერო ნაშრომიდან უნდა აღინიშნოს წიგნი „მესხეთის ტოპონიმია სტრუქტურისა და ისტორიისთვის". უნდა ითქვას, რომ ამ ნაშრომით ბატონი მერაბი გვევლინება აკადემიკოს სერგი ჯიქიას ნაშრომის – „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" – გამაგრძელებლად და შემავსებლად. მხედველობაში გვაქვს მთარგმნელობითი და სხვა დეტალები.

ონომასტიკაში უაღრესად ღვაწლმოსილ პიროვნებას, ჩვენს დიდ პატრიარქს, პაატა ცხადაიას, თავად არაერთგზის ხაზგასმით განუცხადებია, რომ იმ საქმეს, რომელიც ჩაისახა თსუ ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკის ლაბორატორიაში, დღემდე წარმატებით აგრძელებს მერაბ ბერიძე. ამ ფაქტის კონსტატაციისათვის იგი არ იშურებს სიტყვებს მაღალი ტრიბუნიდანაც. პროფესორმა ბონდო არველაძემ მას „ტკივილიანი წიგნი" უწოდა. სწორედ ამ ტკივილმა დააწერინა მერაბს ეს წიგნი.

დავასახელებ ბატონი პაატას ორ გამოსვლას. კერძდ, „გულანის" პრეზენტაციისას ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სადაც დიდძალი და მაღალი საზოგადოება ესწრებოდა და ახლახან თსუ ქართული ენის კათედრაზე პრეზენტაციისას, სადაც წარმოდგენილი იყო ბატონი მერაბის წიგნიც – „ასპინძა და ასპინძელობა". ბატონმა პაატამ ტოპონიმიკის ლაბორატორიის 50-წლიანი მუშაობის ერთ-ერთ შედეგად გამოაცხადა, რომ ამ ლაბორატორიის თანამშრომელთაგან დღეს სამი ადამიანი აგრძელებს იმ საქმეს, იმ ონომასტიკურ კვლევა-ძიებას, რომელსაც ათეული წლების წინ ჩაეყარა საფუძველიო და დაასახელა: პაატა ცხადაია, მერაბ ბერიძე და ქეთევან გოდერძიშვილი. წამოსვლისას მთხოვა, რომ ეს კიდევ ერთხელ განმეცხადებინა ამ კონფერენციაზე, მხოლოდ მე ნუ დამასახელებო.

პაატა ცხადაია ამ შეფასებით ხაზს უსვამდა მხოლოდ სამეცნიერო მოღვაწეობას ონომასტიკაში. უნდა ითქვას, რომ მერაბ ბერიძის ღვაწლმოსილება გასცდა მეცნიერებას და იგი პარალელურად მოგვევლინა ქვეყნის სადარაჯოზე იმ საზღვრისპირა რეგიონში, რომელშიც არ უნდა ჩამკვდარიყო ქართული სული, არადა იდგა ამის საშიშროება. იმ ტოპონიმებთან ერთად, რომლებიც უტყვად მეტყველებენ სამცხე-ჯავახეთის მიწა-წყლის ისტორიაზე, გადასარჩენი იყო ქართული მეობა და ქართული ენა. და გადარჩა! მეტიც. უფრო გაძლიერდა ამ კუთხეში ქართული სული, ქართული აურა და ეს იმ უნივერსიტეტის დამსახურებაა, რომლის სათავეში 1990 წელს მოავლინეს მერაბ ბერიძე. ამ უნივერსიტეტმა, სამცხე-ჯავახეთის ეროვნული მეობის აღორძინების თვალსაზრისით, თითქმის ისეთივე როლი შეასრულა, როგორც გრიგოლ ხანძთელის მიერ შექმნილმა მონასტრებმა თავისი შიდა თუ გარე პოლიტიკით, რასაც ადასტურებს ქართულად ამეტყველებული სამცხე-ჯავახეთი და უნივერსიტეტის ურთიერთობები საბერძნეთთან, რომელსაც კურატორობს პროფესორი მაია ქუქჩიშვილი. გავიხსენოთ, მე-9 საუკუნეში გრიგოლ ხანძთელი რომ გაემართა „საბერძნეთისა წმიდათა ადგილთა მოხილვად", ტაო-კლარჯეთის აღორძინების მიზნით.

დღეს სამცხე-ჯავახთის უნივერსიტეტმა უფრო ფართოდ გაშალა ფრთები. ამის დასტურია სამეცნიერო და საზოგადო ურთიერთობები პოლონეთთან, ავსტრიასთან, თურქეთთან და აშშ-სთან. უფლება არ მაქვს, პირადი მადლიერება არ გამოვხატო ბატონი მერაბის მიმართ, რომ პატივი მქონდა, ოთხი წლის მანძილზე, ვყოფილიყავი ამ უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე, სამეცნიერო საბჭოს წევრი, რაც მთავარია, სტუდენტების აღმზრდელი. მადლობა უნდა ვუთხრა მერაბ ბერიძეს, რომ მომეცა შესაძლებლობა, გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტში" შემომეღო რუბრიკა – „ქართველოლოგიის გამოჩენილი მოღვაწენი". ამ მოგონებით კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ იმ უნივერსიტეტის საქმიანობას, რომლის დღემდე არსებობა უპირატესად განპირობებულია ბატონი მერაბის დიდი რუდუნებით.

ბატონ იუბილარს ვულოცავ იმ ასაკს, რომელიც ჯერ კიდევ მრავალეროვნული საქმის (როგორც მეცნიერებაში, ისე საზოგადო მოღვაწეობაში) ახალ, უფრო შემართებულ საფუძვლად იქცევა. ამის თქმის საშუალებას მაძლევს ბატონი მერაბის შემართებული გუნება-განწყობილება, რასაც ადასტურებს მისი წარმოჩენა ახალ ამპლუაში. ლექსების კრებულის – „უნდა იფხიზლო მაშინ, როცა მგლებსაც კი სძინავთ" – ავტორს ნამდვილად ეთქმის პოეტი. ფარდა აეხადა ერთ დიდ საიდუმლოს. მერაბის ვაჟიშვილის, ზვიად ბერიძის პოეტური და მწერლური ნიჭიერების წყარო მის გენეტიკაში ყოფილა.

ბატონ მერაბზე სიტყვა, მაინც, მისთვის ჩვეული საქმიანობით უნდა დავასრულო და დავასახელო წიგნი, ბოლო დროს გამოცემული – „ასპიძა და ასპინძელობა". სხვა საკითხებთან ერთად, ესაა ღია დოკუმენტი იმისა, თუ რა პირობებში, რა გზით ხდებოდა ამ მხარის ეროვნული მუხტის გაძლიერების მიზნით ქართული უნივერსიტეტის დაარსება სამცხესა და ჯავახეთში.

გილოცავ, ჩემო მერაბ, ამ მძლავრ ნაბიჯებს, რომელმაც ასე მოგიყვანა 70 წლამდე. მომავალიც შენია!

ჩემი მეგობარი მეჩაბი

მარიკა ჯიქია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მერაბ ბერიძე თავისი სასიქადულო მასწავლებლების კვალდაკვალ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგოსთა სკოლას ყველგან – შინ თუ გარეთ – საამაყოდ წარმოადგენს და საქართველოს გულშემატკივრად აქცევს უცხოელ კოლეგებს. იგი შესაშური პედაგოგიური ალღოთია დაჯილდოებული და არა მხოლოდ ქართველ ფილოლოგთა მრავალი თაობის აღმზრდელად გვევლინება.

ამქვეყნიურ მანკიერებებთან ბრძოლაში მერაბი ძალისა და სიმხნევის მომცემია ჩვენთვის. რბილი ხასიათის მიუხედავად, გამოირჩევა მომთხოვნელობითა და ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ უკომპრომისო დამოკიდებულებით.

იგი მაოცებს მოვლენათა თანამედროვე ხედვით, მხიბლავს მომავლის მისეული აღქმით.

დღესდღეობით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ტენდენციაა პოლიკულტუროლოგიურ მოვლენათა წარმოჩენა. ონომასტიკონის შესწავლა სწორედ ამ რიგის საკითხთაგანია. მშობლიური კუთხის ტოპონიმებს მერაბი არა მხოლოდ კრებს, აანალიზებს, აზოგადებს, არამედ მათ ელოლიავება ისე, როგორც ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, რომელთა გარეშეც სრულიად საქართველოს ისტორიული რეალობა ჯეროვნად ვერ აღდგება. ჟამთუკუღმართობის მიუხედავად შემორჩენილი მესხეთის ტოპონიმები ქართველური ონომასტიკის ორგანული ნაწილია და ისეთივე „ცოცხალი მოწმეა“ საქართველოს ისტორიული ვითარებისა, როგორც ამ ძირძველ ქართულ მხარეში შექმნილი უბრწყინვალესი ხუროთმოძღვრული ძეგლები. მესხეთის ტოპონიმები ზედმიწევნითაა აღნუსხული და კლასიფიცირებული მორფოლოგიური აგებულების კუთხით, შესწავლილი და ინტერპრეტირებულია სემანტიკური თვალსაზრისით, გამოვლენილია ზანური წარმომავლობის ტოპონიმები და სწორად არის ნავარაუდევი მათი დამკვიდრება მხარის ქართიზაციამდე.

მერაბ ბერიძეს თავისი კუთხის ჰიდრონიმებიც გამოწვლილვით აქვს შესწავლილი. შეგროვილი მასალა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მონაცემებთან მიმართებაშია განხილული, კერძოდ კი აჭარისა და სამეგრელოს ონომასტიკონთან საინტერესო შეხვედრები და თანაკვეთები წარმოჩნდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს მისი სრულყოფილი ნარკვევი მეთევზეობასთან დაკავშირებული ტოპონიმების შესახებ, რომელშიც კი არ გამოსჭვივის, არამედ დომინანტურია რეწვის ამ დარგის ზედმიწევნითი ცოდნა.

მერაბის „მუდმივ“ ატრიბუტებს – შესანიშნავი მეოჯახე, მოყვასზე მზრუნველი ადამიანი, უღალატო კოლეგა, კარგი მენეჯერი – ჩემთვის დიდად სასიხარულოდ, და თან მოულოდნელად, დაემატა ახალი „ნომინაცია“ – იგი გულშიჩამწვდომი, ღრმა შინაარსის ლექსების ავტორია, რისი დასტურიცაა თავის დაბადების დღესთან მისადაგებული ლექსების 250-გვერდიანი კრებული, უცილოდ რომ გაგაჟრიალებს, ისეთი სათაურით – **უნდა იფხიზლო მაშინ, როცა მგლებსაც კი სძინავთ.**

ამ ოდენ მისალოც წერილში არ ვაპირებ შემოგთავაზოთ მისი პოეტური თხზულებების იდეურ-მხატვრული ანალიზი, არა! მე მხოლოდ წარმოვაჩენ მერაბისეულ სიტყვათთხზვას მისი სალექსო ქსოვილის მიხედვით. ეს ის სიტყვებია, რომლებიც არ განეკუთვნება საერთო სალიტერატურო ენას, ხოლო კრიტერიუმი, რომლითაც სიტყვა მიეკუთვნება საერთო სალიტერატურო ენას, მარტივია: იგი უნდა დადასტურდეს ქართული ენის ძირითად, ფუნდამენტურ, აკადემიურ ლექსიკონში. ჩვენს სინამდვილეში ეს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (ქეგლ-ის) რვატომეულია.

როგორც ყველა ენას, მათ შორის ქართულსაც, აქვს საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც იქმნება ახალი სიტყვები. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი აკისრიათ აფიქსებს. სიტყვაწარმოების დროს მაწარმოებლებად გამოყენებულია აფიქსები ენის დერივაციული სისტემის გათვალისწინებით. ახალი ელფერი სიტყვას შეიძლება შესძინოს ერთმა ნიუანსმაც კი, იქნება ეს მოულოდნელი კონტექსტი, სიტყვამაწარმოებელი ყალიბის შეცვლა თუ აფიქსის უჩვეულო გამოყენება ამა თუ იმ ფუძესთან.

ნეოლოგიზმები, რომლებიც გვხვდება მერაბ ბერიძის შემოქმედებაში, ისეთი სიტყვაწარმოებაა, რომლის დროსაც პოეტი იყენებს თავსართ-ბოლოსართების ჩვეულებრივ ინვენტარს, ლექსიკონებში დადასტურებულ ძირებსა თუ ფუძეებს და მათი შეერთებით იძლევა დერივატს ან კომპოზიტს, რომელიც სავსებით სწორია წარმოების თვალსაზრისით და, ამავდროულად, უჩვეულოა შინაგან კავშირთა მოულოდნელობის გამო.

ეს სიტყვებია: ლოდკაცა, ლოდნარები, სამუსიკეთი, შავგულეთი, ფიქრი იო-წიო, დიდპაპა, ურები... ნანისლი, ნაკარკალი, ნაგულარი, ნაგუზალი, ოზონნაყლაპი... შემოდგომურა... დაცალებული, აწალკული-დაწალკული, ამომბრუნებელი, სათვალემოგდებული, პირმტეხი... აჟღურიჟღურდნენ, (ვინც) მიცით, მიეზამთრა, შემოალისფრდა, მეგარემოთ, გაწვინიკდა, დაამისნებს, გაუჭანგიათ, მიმამზერს და სხვა და სხვა.

უფლის მადლიერი ვარ, თავისი სიცოცხლით სავსე ცხოვრების თანაზიარი რომ გამხადა.

აკადემიურ სივრცეში საკონსტიტუციო ცვლილებებზე იმსჯელეს

საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიამ, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე **არჩილ თალაკვაძე** ხელმძღვანელობდა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 15 სექტემბერს, გამართა შეხვედრა – 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარების, ნულოვანი ბარიერისა და არჩევნებში პოლიტიკური ბლოკების მონაწილეობის შეზღუდვის შესახებ. საყოველთაო-სახალხო განხილვებში მონაწილეობენ საპარლამენტო და არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, კონსტიტუციონალისტები და ექსპერტები. შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა.

მინდა მივესალმო ახალციხის საზოგადოებას, ჩამობრძანებულ სტუმრებს. მიხარია, რომ ეს საპატიო სტუმრობა ხვდა წილად ჩვენს ქალაქს – ახალციხეს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შეხვედრა იმართება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აკადემიურ სივრცეში. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენთან ერთად იმყოფება პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი არჩილ თალაკვაძე. – აღნიშნა ახალციხის მაჟორიტარმა დეპუტატმა **გიორგი კოპაძემ.**

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და სახელმწიფო უნივერსიტეტში მსგავსი ტიპის შეხვედრის გამართვის მნიშვნელობაზე ისაუბრა პარლამენტის თავმჯდომარემ **არჩილ თალაკვაძემ: შემთხვევით არ არის, რომ ჩვენ საჯარო განხილვას ვატარებთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც უნდა იყოს ასეთი ტიპის განხილვები და დღეს ჩვენ ამ ტრადიციას კიდევ უფრო ვაძლიერებთ. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნისათვის ასეთი**

თემების განხილვა, გადაწყვეტილებების მიღების გაცნობა, დისკუსია, იმართება სწორედ საუნივერსიტეტო სივრცეში. ამისთვის მინდა უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორებს, გადავუხადო მადლობა. – აღნიშნა ბატონმა არჩილმა და დამსწრე საზოგადოებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოახსენა.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს ვართ უნივერსიტეტში და ვიხილავთ საკონსტიტუციო საკითხებს. მე ამ უნივერსიტეტთან მითანამშრომლია, გვქონია ჩვენ საჯარო ლექციები და ძალიან კმაყოფილი წავსულვარ სტუდენტების დონით. ეს იმას ნიშნავს, რომ პროფესორ-მასწავლებლები მაღალ დონეზე უძღვებიან სასწავლო პროცესს. უნივერსიტეტის არსებობა ამ რეგიონში ისტორიულად მნიშვნელოვანია და იმედი მაქვს, რომ მომავალშიც ის მაღალ დონეზე შეასრულებს თავის მისიას. – აღნიშნა პარლამენტის წევრმა **გია ჟორჟოლიანმა.**

შეხვედრაზე საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე საკუთარი აზრი საორგანიზაციო კომისიის ყველა წევრმა დააფიქსირა. გამოითქვა მოსაზრებები დამსწრე საზოგადოების მხრიდან. შეკითხვები დასვეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

უნივერსიტეტის რექტორმა – **მაკა ბერიძემ,** მადლობა მოახსენა პარლამენტის თავმჯდომარეს უნივერსიტეტში სტუმრობისთვის, იმისათვის, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა ასე საჯაროდ იმართება: **მაქვს პატივი, მოგესალმოთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით. მადლობა თქვენ, ბატონო არჩილ, რომ გადაწყვიტეთ, მობრძანებულიყავით და დღევანდელი შეხვედრა უნივერსიტეტში ჩაგეტარებინათ. დღეს არაერთხელ გაიჟღერა საქართველოს დემოკრატიის განვითარების პერიოდის 30 წელმა. 30 წლის გახლავთ ჩვენი უნივერსიტეტი , მომავალ წელს საიუბილეო წელი გვაქვს. მადლობა იმისთვის, რომ ასე საჯაროდ იმართება აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა.**

საზოგადოების მხრიდან დასმული კითხვები და მოსაზრებები ახალ საარჩევნო სისტემაში რეგიონული წარმომადგენლების ჩართვას, პარტიის გამარჯვებისთვის საჭირო ხმების ოდენობას, ქალთა კვოტების განსაზღვრას, ვეტერანებისა და შშმ პირთა საკითხების დაყენებას ეხებოდა.

პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა 13 სექტემბერს დაიწყო და 30 სექტემბერს დასრულდა.

ლიკა ზაზაშვილი

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი - 2019

სასწავლო პროცესის დაწყების საზეიმო ცერემონიაზე, 17 სექტემბერს, რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ,** საზოგადოებას საქართველოს მასშტაბით **„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019“**-ის გახსნის თაობაზე მოახსენა და ის ღონისძიებები გააცნო, რომელიც ფესტივალის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართებოდა. ფესტივალის ოფიციალური გახსნა მოხდა უნივერსიტეტის მუზეუმში, სადაც უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ** და პრორექტორმა **მერაბ ბერიძემ** მის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

მუზეუმში წარმოდგენილი გახლდათ შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტის ფარგლებში ჩატარებული სტუდენტური ექსპედიციის შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა. სტუდენტებმა, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუმრებმა დაათვალიერეს გამოფენა და გაეცნენ ინფორმაციას გამოფენილი მასალის შესახებ.

ექსპედიციას, რომელიც არქეოლოგიის დამატებითი პროგრამის სტუდენტებმა მოაწყვეს, ხელმძღვანელობდა ასოცირებული პროფესორი **თამარ მათიაშვილი.** არქეოლოგიური მასალა მოგროვდა სამ ობიექტზე.

პირველი იყო თმოგვი – წმინდა მარინეს ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია, სადაც აიკრიფა ზედაპირულად გვიანი შუასაუკუნეების მასალა, მათ შორის, სქელკეციანი, ქუსლიანი ჯამისა და ცისფრად მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები;

მეორე – ახჩიის გადასახედი, სადაც ჯერ კიდევ ბატონ ოთარ ღამბაშიძის დროს ტარდებოდა ყორღანების გათხრები. აქაც, ასევე, ზედაპირულად აიკრიფა ყორღანული სამარხებისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ესაა ჭურჭლის ნაწილები შავად ნაპრიალები ზედაპირით, შემკულია კოპებით, ამოღარული სამკუთხედებით, კონცენტრული ხაზებით, კომბინირებული ორნამენტებით. ეს ფრაგმენტები ძვ. წელთაღრიცხვის მე-16 საუკუნის მე-2 ნახევრითაა დათარიღებული.

მესამე ობიექტი იყო სარო. საროს მოსახლემ სტუდენტებს გადასცა თავის საკარმიდამოში აღმოჩენილი სავარაუდოდ სამარხეული კომპლექსი: ხელადა, ღიაფრად გამომწვარი, ქოთანი, მძივი (მინის პასტისებური) და საყურეები. ეს ნივთები თარიღდება ძვ. წელთაღრიცხვით, IV-III საუკუნეებით.

მოპოვებული მასალა კამერალურად დაამუშავეს სტუდენტებმა და ნაწილი გამოიფინა უნივერსიტეტის მუზეუმში. გამოფენამ გასტანა 30 სექტემბრამდე.

ჩვენი კორესპონდენტი

უნივერსიტეტის პროფესორების საჯარო ლექციები სკოლებში

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019“-ის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა, ახალციხის საჯარო სკოლებში, ლექციები წაიკითხეს. საჯარო ლექციათა ციკლი ხუთი ლექციისაგან შედგებოდა. ახალციხის №1 საჯარო სკოლას, 25 სექტემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მაკა ბერიძე** ესტუმრა და თემაზე – **მეცნიერება და ენობრივი პოლიტიკა,** მოსწავლეებთან საინტერესო ლექცია წაიკითხა. აღსანიშნავია, რომ საჯარო ლექციების დროს, პროფესორებს უნივერსიტეტის ის წარმატებული სტუდენტები ახლდნენ, რომლებმაც ლექციებისათვის შერჩეული სკოლები დაამთავრეს.

უნივერსიტეტის რექტორი მოსწავლეებს სკოლის დირექტორმა **ჟუჟუნა გოგოლაურმა** წარუდგინა. ქალბატონმა მაკამ აღნიშნა, რომ პირველი სკოლისადმი მას განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს, რადგან თავადაც ამ სკოლის აღზრდილია. **ამ სკოლამ მასწავლა სამშობლოს სიყვარული, ადამიანების სიყვარული, ისე შემასწავლა ყველა საგანი, რომ მე, თუმცა, ქართულის ფილოლოგი ვარ, მაგრამ მათემატიკა დღესაც კარგად ვიცი. არ არის გასაკვირი, რომ ჩემი შვილები ამ სკოლაში სწავლობენ. თქვენ ჩემი სკოლელები ხართ. მე განსაკუთრებით მიყვარს ყველა ჩემი სკოლელი. ესე იგი, მე თქვენ მიყვარხართ.**

ქალბატონმა მაკამ სკოლის მოსწავლეებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ მოახსენა. შემდეგ, სალექციო თემაზე ესაუბრა. დიდი ინტერესის გამო, მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, რექტორთან აღნიშნულ საკითხებზე სასაუბროდ უნივერსიტეტს თავად ესტუმრნონ.

პირველ საჯარო სკოლაში, რექტორთან ერთად, იმყოფებოდა სტუდენტი **ნინო პაპიძე,** ამავე სკოლის კურსდამთავრებული. **მე სწორი არჩევანი გავაკეთე, რადგან ჩავაბარე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს არის შანსი, იყო სტუდენტი საკუთარ ქალაქში. ისწავლო, გაერთო, რაც სტუდენტობას ახლავს თან და რაც უმნიშვნელოვანესია – ამ ქალაქში დავიბადე, გავიზარდე, ამ ქალაქის სკოლა დავამთავრე და ამ ქალაქის უნივერსიტეტის სტუდენტი მქვია. მინდა ადგილზე მიღებული კარგი განათლებით ჩემს ქალაქს რაიმე სასიკეთო გავუკეთო. როდესაც დადგებით არჩევანის წინაშე, აუცილებლად აირჩიეთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.** – აღნიშნა ნინომ.

ამავე დღეს, ახალციხის №2 საჯარო სკოლაში ლექცია ჩაატარა ასოცირებულმა პროფესორმა **რაისა ხაჩატურიანმა**. ქალბატონი რაისა მოსწავლეებს წარუდგა ლექციით თემაზე – **ეკონომიკური საკითხების ცოდნის მნიშვნელობა და როლი ყოველდღიურ ცხოვრებაში**. №3 საჯარო სკოლას პროფესორი **მერაბ ბერიძე** ეწვია. მისი ლექციის თემა გახლდათ – **სახელმწიფო ენა და სამოქალაქო აზროვნება**. მოსწავლეთა მხრიდან დაისვა არაერთი კითხვა.

დიდი დაინტერესება გამოიწვია №5 საჯარო სკოლაში პროფესორ **ნესტან სულავას** მიერ ჩატარებულმა ლექციამ თემაზე – **ქართული სამეცნიერო კვლევითი ცენტრები საზღვარგარეთ.**

ძალიან კარგი ლექცია მოვისმინეთ. ჩვენთვის ბევრი საკითხი სიახლე იყო და მადლობა გვინდა ვუთხრათ ამისთვის უნივერსიტეტს და ქალბატონ ნესტანს. – აღნიშნა სკოლის მოსწავლემ **რიმა სუდაძემ.**

ჩვენს სკოლასა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთობა აქტიურად გრძელდება.უნივერსიტეტის მხრიდან, ჩვენ არაერთი საჯარო ლექციის მომსწრენი ვყოფილვართ და დღეს კიდევ ერთი საინტერესო დღე არის ჩვენს სკოლაში. მადლობა უნივერსიტეტს იმისთვის, რომ მოსწავლეებს აზიარებს სამეცნიერო საქმიანობისადმი სიყვარულს და მადლობა ქალბატონ ნესტანს, ასეთი მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხების გაჟღერებისთვის. – აღნიშნა მე-5 სკოლის დირექტორმა **ინგა ვარდიძემ**.

ახალციხის მე-6 საჯარო სკოლას პროფესორი **მალხაზ ლომსაძე** ესტუმრა. მან ისაუბრა თემაზე – **მეცნიერება და იურისპრუდენცია.** როგორც პროფესორმა აღნიშნა, მომავალში მსგავს თემებზე სასაუბროდ მეექვსე საჯარო სკოლას კვლავ ესტუმრება.

კერძო სკოლაში „მზექა“ მოსწავლეების წინაშე წარსდგა პროფესორი **როინ ყავრელიშვილი** თემით – **დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასა და ანკარის მთავრობას შორის, 1921 წელს**. მოსწავლეებმა ლექციის დასრულების შემდეგ გამოთქვეს მოსაზრებები და კითხვები დაუსვეს პროფესორს.

ბევრი რამ გაიგეს დღეს ჩვენმა მოსწავლეებმა. საინტერესო ლექცია იყო. ჩვენი მოსწავლეები იმყოფებოდნენ ღია კარის დღეზე უნივერსიტეტში, საიდანაც კარგი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ. მითხრეს, როგორ უშუალოდ დაგვხვდნენ და რა კარგი შემოთავაზებები ჰქონდათო. განსაკუთრებით მოიხიბლნენ გაცვლითი პროგრამების არსებობით. რაც შეეხება დღევანდელ ლექციას, თემატიკა, რაც ბატონმა როინმა წარმოადგინა, საინტერესო და მნიშვნელოვანია. მადლობა თქვენ ამისთვის. – აღნიშნა კერძო სკოლის „მზექას“ დირექტორმა **ბელა კაპანაძემ.**

ჩვენი დამოკიდებულება უნივერსიტეტის მიმართ ყოველთვის დადებითია. ჩვენი სკოლის საუკეთესო ნაწილი სწორედ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიდის. წელსაც, ვიმედოვნებთ, ასე იქნება. მსგავსი ტიპის ლექციები კიდევ უფრო აახლოებს მოსწავლეებსა და პროფესორებს. დღეს ჩვენმა მოსწავლეებმა საინტერესო და ჩვენი კუთხისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მოისმინეს. – აღნიშნა კერძო სკოლის „მზექას“ პედაგოგმა **სოსო გიქოშვილმა.**

ღონისძიება ორგანიზებული იყო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის **ლალი ბერიძისა** და ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის **ხათუნა ხმალაძის** მიერ.

კვირეული პირველკურსელთათვის

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერიტეტმა პირველკურსელებს, 16 სექტემბრიდან, მთელი კვირის განმავლობაში, არაერთი საინტერესო ღონისძიება შესთავაზა. ერთკვირიან პროგრამაში გაწერილი იყო სასწავლო-საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული აქტივობები. მიზანი – პირველკურსელებს ახლოს გაეცნოთ უნივერსიტეტი, პროფესორ-მასწავლებლები და აქ არსებული სასწავლო გარემო, ქვემოთ მოცემული ღონისძიებების ჩამონათვალით მივხვდებით, რომ მიღწეულია.

უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამართული საზეიმო ღონისძიების შემდგომ, პირველკურსელებს, ფაკულტეტების მიხედვით, დეკანები და პროფესორ-მასწავლებლები შეხვდნენ. ამავე დღეს, მათ უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსები დაათვალიერეს და გაეცნენ – **„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019“**-ის ფარგლებში, უნივერსიტეტის მუზეუმში განთავსებულ არქეოლოგიურ გამოფენას.

16 სექტემბერს, ჩვენ დავესწარით შეხვედრას განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელებთან. მათ სწავლის დაწყება ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფერსორმა **გულიკო ბექაურმა** მიულოცა და ფაკულტეტის პროფესორები წარუდგინა. აღნიშნა, რომ ფაკულტეტს პროფესორ-მასწავლებელთა სერიოზული გუნდი ემსახურება და რომ ფაკულტეტზე სწავლა ხორციელდება პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე.

პირველკურსელებს მიესალმნენ პროფესორი **ირმა ქურდაძე**, ასოცირებული პროფესორი **მაია ქუქჩიშვილი,** ასოცირებული პროფესორი **ცირა მესხიშვილი,** ასოცირებული პროფესორი **ლალი ბერიძე**, მოწვეული პედაგოგი **ნათელა მელიქიძე**, ასისტენტ-პროფესორი **მაია ბალასანიანი**, ქართული ფილოლოგიის მეოთხე კურსის სტუდენტი

ცირა ფილიშვილი, პირველკურსელი **იზა ბერძენიშვილი**.

მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის, სიგელები გადაეცათ ისტორიის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტს **დავით სულაბერიძეს**, ისტორიის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტს **ნანა გოგოლაძეს**, დაწყებითი განათლების სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტს **ხატია სისაურს**, ქართული ფიოლოლოგიის მე-4 კურსის სტუდენტს **ცირა ფილიშვილს**, ინგლისური ფილოლოგიის მეოთხე კურსის სტუდენტს **ემა ნაზარეტიანს**.

პირველკურსელებთან შეხვედრების დროს, უნივერსიტეტის სიგელები გადაეცათ ყველა ფაკულტეტის წარმატებულ სტუდენტებს.

საინტერესო გახლდათ **17 სექტემბერი**. პირველკურსელები გაეცნენ ინფორმაციას სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის შესახებ და მუდლის პროგრამის მუშაობის პრინციპს. ამავე დღეს, ფაკულტეტების მიხედვით, პირველკურსელებს შეხვდნენ პროგრამების ხელმძღვანელები.

18 სექტემბერს, მოხალისე ლექტორებმა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებულმა კურსდამთავრებულებმა, პირველკურსელებს წაუკითხეს ლექციები და საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს სტუდენტებს. ამავე დღეს გაიმართა კულტურული ღონისძიებები. ჩატარდა მასტერკლასი ცეკვაში და მეგობრული საფეხბურთო მატჩი, სადაც პირველკურსელებისაგან დაკომპლექტებულ გუნდს შეხვდა უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდი.

19 სექტემბერს, უნივერსიტეტის რექტორი **მაკა ბერიძე** შეხვდათ პირველკურსელებს. რექტორმა ახალგაზრდებს განუმარტა, რომ მათ უნივერსიტეტში დახვდებათ ყველა პირობა პროფესიული განვითარებისა და პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის, რომ მისთვის, როგორც ერთი ადამიანისთვის, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ქულებს მიიღებს თითოეული სტუდენტი, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორი დიდი და ღირსეული პიროვნებები გავლენ უნივერსიტეტიდან.

შეხვედრებით დატვირთული გახლდათ **20 სექტემბერი.** პირველკურსელებს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლები შეხვდნენ. მათ მიიღეს ინფორმაცია საერთაშორისო სამსახურის ხელმძღვანელის მიერ გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით.

სტუდენტთათვის დაგეგმილი ღონისძიებების კვირეულის ფარგლებში, **19-26 სეტემებრს**, პირველკურსელები დაესწრნენ თეატრის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში გამართულ სპექტაკლებს.

27 სექტემბერს, ახალციხის ციხის ტერიტორიაზე, გაიმართა „Welcome Party,“ რომლითაც პირველკურსელთათვის დაგეგმილი ღონისძიებები დასრულდა.

უნდა აღინიშნოს, რომ იგივე ღონისძიებები პირველკურსელთათვის ჩატარდა უნივერსიტეტის მესამე კორპუსში, ახალქალაქში.

გვერდი მოამზადა
ლიკა ზაზაშვილმა

განმავითარებელი შეფასების ინოვაციური ხერხები და 21-ე საუკუნის უნარები წარმატებული დასაქმებისთვის

თინა გელაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი; EU – ERASMUS+ პროექტების ინსტიტუციური მენეჯერი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორობით ხორციელდება ევროკავშირის მიერ ERASMUS+-ის ფარგლებში დაფინანსებული საგრანტო პროექტი ASSET (Assessment Tools for new learning environments in higher education institutions – „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალი სასწავლო გარემოსთვის შეფასების ინსტრუმენტები“).

ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში მიმდინარე წლის 23-26 სექტემბერს, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის, ჩატარდა – **ვორკშოპი განმავითარებელი შეფასების ინოვაციურ მეთოდებზე:** Critical Friend-**კრიტიკული მეგობარი;** Soft Skills-SEI-**სოციალურ-ემოციური ინტელექტი; მეწყვილის/თვითშეფასება,** Peer/Self Assessement/reflective diery-**რეფლექსური დღიური,** Open Bages(ODB)-**ღია ციფრული ბეიჯი.** აკადემიური პერსონალი გაეცნო სტუდენტზე ორიენტირებულ, ზემოაღნიშნული შეფასების ინოვაციური ინსტრუმენტის დანერგვის მეთოდოლოგიას, შეფასების კრიტერიუმებს, შუალედური და შემაჯამებელი შეფასებისას ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობებს, რომელიც პროექტის ფარგლებში შეძენილ, IOS სისტემის (Apple) მობილური ლაბორატორიის მეშვეობით განხორციელდება.

ვორკშოპს უძღვებოდნენ პროექტის სტაფის წევრები, რომლებიც გადამზადდნენ ევროპელი, პარტნიორი უნივერსიტეტების (ირლანდია-კორკის, გერმანია-ბამბერგის, ესტონეთი-ტალინის ციფრული ტექნოლოგიებისა და ავსტრიალინცის უნივერსიტეტები) ექსპერტთა მიერ.

მიმდინარე წლის თებერვალში მსგავსი ტიპის ვორკშოპი ჩატარდა ისრაელის სხვადასხვა საგანმანათლებლო კოლეჯში (კინერეტის გორდონის, სახნინის, ჰადასი); მარტში მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრში, სადაც ესწრებოდა თბილისის სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლის 100-ზე მეტი დირექტორი და სასწავლო ნაწილი; აპრილში გადამზადდა ილიაუნის, თსუ-ს და სოხუმის უნივერსიტეტის სტაფი.

მიმდინარე სასწავლო წლიდან, ისევე როგორც სხვა პარტნიორ უნივერსიტეტებში, ჩვენთანაც იწყება განმავითარებელი შეფასების დატესტვა/პილოტირება. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილი ვორკშოპზე გაეცნო შეფასების ინივაციურ ხერხებს, მათთვის, ვინც ვერ მოახერხა დასწრება, მოკლედ გვინდა შემოგთავაზოთ ცალკეული, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მნიშვნელობა და მეთოდის აღწერა, რომელთა დანერგვა სასწავლო კურსებში, პედაგოგის მიერ, სურვილის შემთხვევაში, სტუდენტს გამოუმუშავებს წარმატებული კარიერისთვის საჭირო უნარებს.

მიდგომა/ინსტრუმენტი/ხერხი „კრიტიკული მეგობარი“

ტრენერი – ასოცირებული პროფესორი **გულიკო ჯანოვა**

„კრიტიკული მეგობარი“ არის განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახლებური სასწავლო გარემოს ჩამოსაყალიბებლად.

მიდგომის – „კრიტიკული მეგობარი“ მიზანია ადამიანებს შორის ღია და საიმედო ურთიერთობების დამყარება, როგორც ჯანსაღი ურთიერთობებისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის წინაპირობა. ეს მიდგომა ხელს უწყობს როგორც თანამშრომლურ სამუშაო გარემოს, ასევე პროფესიულ განვითარებას.

„კრიტიკული მეგობარი“ არის ინოვაცია უმაღლესი განათლების სფეროში; რთული, მაგრამ თანმიმდევრული მიდგომა; სტუდენტთა რეფლექსური უნარების განვითარების ეფექტური საშუალება თანამშრომლობის საშუალებით; თვითშეფასების ძლიერი ინსტრუმენტი; ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენისა და შედეგების გაუმჯობესების საშუალება. ის უზრუნველყოფს მზადყოფნას სიახლის შესასწავლად, მზადყოფნას კრიტიკისათვის; სტუდენტთა პასუხისმგებლობის დელეგირებას; განსხვავებული აზრის პატივისცემას; ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს, ურთიერთდახმარებას და ერთობლივ სწავლას. ის ხელს უწყობს კოლეგიალური თანამშრომლობის განვითარებას და აუმჯობესებს რეფლექსიურ პრაქტიკას.

„კრიტიკული მეგობარი“ შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს თანატოლების, საკუთარი თავისა და მასწავლებლის შეფასების საშუალებით, განავითაროს მთელი რიგი უნარები, როგორიცაა: თვითშემეცნებისა და თვითდაჯერებულობის უნარი; რეფლექსური, ანალიტიკური, კრიტიკული, მეტაკოგნიტური და თანამშრომლობითი უნარები.

არსებობს კრიტიკული მეგობრის ორი ტიპი: ინდივიდუალური (ორ ადამიანს შორის) და ჯგუფური (4-6 სტუდენტი) და სამი სტრატეგია:

1. Tuning Protocol – არის განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომლის მიზანია პრობლემების გადაჭრისას ერთმანეთისთვის დახმარების გაწევა.

მასწავლებელი ასახელებს დისკუსიის თემას, კლასს ყოფს ჯგუფებად და ანაწილებს როლებს.

როლი №1 – ერთი ფასილიტატორი; **როლი № 2** – ერთი წამყვანი; **როლი № 3** – დისკუსიის მონაწილენი.

ფასილიტატორი – ხსნის სესიას და დამსწრე აუდიტორიას აცნობს პრობლემას. **პრეზენტატორი** – საუბრობს თავისი პრობლემის შესახებ. დისკუსიაში მონაწილენი უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად პრეზენტატორს უსვამენ კითხვებს, განიხილავენ პრეზენტატორის პრობლემას და ინდივიდუალურად მუშაობენ რეკომენდაციებზე.

პრეზენტატორი აკეთებს რეკომენდაციების ჩანაწერს და იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი რეკომენდაცია იქნება მისთვის მისაღები. შემდგომ უზიარებს თავის გადაწყვეტილებას სხვებს, თან მოჰყავს არგუმენტები მონაწილეთა უკუკავშირის საფუძველზე. **ფასილიტატორი** აჯამებს დისკუსიის შედეგებს.

1. Synergy Analysis **„ძალთა ველის“ ანალიზი** არის კრიტიკული მეგობრის მიდგომის ერთ-ერთი ეფექტური სტრატეგია, რომელიც ჯგუფის წევრებს საშუალებას აძლევს, გააცნობიერონ ერთმანეთის ძლიერი მხარეები თავიანთ სასარგებლოდ და გააუმჯობესონ საერთო საქმე.

სტუდენტები გამოხატავენ თავიანთ პიროვნულ დამოკიდებულებას-ხელისშემშლელ/ დამაბრკოლებელ და დამხმარე ფაქტორების შესახებ. შემდეგ სტუდენტები ერთიანდებიან, ადარებენ ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაოს შედეგებს და პასუხობენ კითხვებს: ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციებს; ბოლოს იმართება საერთო დისკუსია, სადაც განსაზღვრავენ, როგორ შეიძლება სიტუაციის გაუმჯობესება. რა შეიძლება გაკეთდეს „სასარგებლო ძალების“ გაძლიერებისთვის და „ხელისშემშლელი ძალების“ შესუსტებისთვის. რა წვლილი უნდა შეიტანონ მასში ლექტორმა და სტუდენტებმა.

2. თვითშეფასების და ურთიერთშეფასების მარაო არის განმავითარებელი შეფასების სტრატეგია. ჯგუფის ყველა წევრი აფასებს საკუთარ და სხვა სტუდენტების წვლილს ჯგუფური პროექტის შესრულების დასასრულს, როგორც კრიტიკული მეგობარი.

3. Soft Skills-SEI-სოციალურ-ემოციური ინტელექტი.

ტრენერი – პროფესორი **თინა გელაშვილი.**

გლობალური ცვლილებები და ახალი ტექნოლოგიების განვითარება, სხვადასხვა თაობების, ეროვნების, რელიგიისა და კულტურის მქონე ადამიანთა გვერდიგვერდ მუშაობა, დასაქმების პროფესიული მოთხოვნების ცვლილება, სამუშაო ადგილების შეზღუდვა, კომპანიებს შორის კონკურენციის ზრდა და სხვა, ის გამოწვევებია, რომელიც 21-ე საუკუნეში ახლებურ ხედვას და ახალ უნარებს საჭიროებს.

ამერიკელი მეცნიერის პიტერ დრაკერის კვლევების თანახმად, ორგანიზაციაში, სადაც მაღალია სოციალურ-ემოციური ინტელექტი, სამუშაოს ეფექტიანობა 20-40 %-ით იზრდება და პირიქით, ასევე, კვლევები, რომელიც მანვე ჩაატარა მსოფლიოს 188 მსხვილ და საშუალო კომპანიებში დაადგინა, რომ დამსაქმებელთა 90 % ღიად აღნიშნავს, რომ სამსახურში აიყვანდა ისეთ თანამშრომელს, რომელსაც ექნება სოციალურ-ემოციური უნარები (Drucker, HBR, 2018).

საქართველოს უსდ-ში სწავლის პროცესში ძირითადად ფასდება სტუდენტის ტექნიკური და კოგნიტური უნარები, მაგრამ სოციალურ-ემოციური ინტელექტის შეფასება არ ხდებოდა.

სწორედ, TOT, რომელიც პროექტის სტაფის წევრების მიერ ჩატარდა სჯუნის აკადემიური პერსონალისთვის, მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის საჭირო სოციალურ-ემოციური უნარების გამომუშავებას და მის შეფასებას.

ინოვაციური ინსტრუმენტის დანერგვის ძირითადი მიზანია სწავლის შედეგების გაუმჯობესება და სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა, რათა მიაღწიონ კარიერულ წარმატებას. იგი საშუალებას იძლევა: შეძლო სხვებთან მუშაობა; მართო შენი ემოცია; შეგეძლოს კრიტიკული გადაწყვეტილების მიღება; შეძლო დამსაქმებელთა ინტერესებისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესაბამისი უნარჩვეების მქონე კადრებით, კერძოდ, სტუდენტს გამოუმუშავდება: ემოციური თვითშემეცნება; თვითრეგულირება, დამაჯერებლობა, ემპათია; სტრესის მართვა, გამბედაობა და თავდადება; მოქნილობა და ინოვაცია; აზროვნების ზრდა-განვითარება; პოზიტიურობა და ოპტიმიზმი და სხვა.

Soft skills-SEI – სოციალურ-ემოციური უნარი შესაძლებელია ნებისმიერ საგანში, ან პროგრამაში ინტეგრირდეს. უნარების შეფასების აღნიშნული ინსტრუმენტი მოიცავს განვითარების ინსტრუმენტს (სტუდენტებისთვის) და იძლევა შეფასების საშუალებას (პედაგოგებისათვის). SEI-ის განვითარების ინსტრუმენტი სტუდენტებისათვის წარმოდგენილია „მოგზაურობის რუქის“ სახით. იგი მოიცავს 13 საფეხურს – ტიპიური სემესტრის გაკვეთილების რაოდენობა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს თავიანთი ყოველკვირეული განვითარება აღრიცხონ. თუმცა, ზოგიერთი საქმიანობა ორ კვირაში უნდა დასრულდეს და, უფრო მეტიც, განვითარების ტემპი მოქნილია, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტს შეუძლია თავისი ამოცანების შესრულება კურსის შუაში, თუ დასასრულს მათთვის მოსახერხებელი ვადით და სიჩქარით, რადგან ისინი ხელმძღვანელობენ არსებული გზამკვლევებით.

თითოეული უნარისთვის განვითარების ინსტრუმენტის სტრუქტურა შემდეგია :

ა. უნარი, გააზრება, მისი გამოვნილება, მისი მნიშვნელობისა და წვლილის (სტატიების, TED-ის განხილვისა და მართვადი კითხვების მეშვეობით) ცოდნა / გაგება;

ბ. პიროვნების საწყისი მდგომარეობის განსაზღვრა და განვითარების მიზნების დასახვა;

გ. რეფლექსიური და პრაქტიკული სწავლება ყოველდღიური ცხოვრებისეული უნარის განვითარებისთვის.

თითოეული დავალება სტუდენტის მიერ, დამოუკიდებლად აღირიცხება და ხდება შეფასების ნაწილი. პედაგოგთა შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ორ ინსტრუმენტს: შუალედური და ფინალური შეფასების ინსტრუმენტი, სტუდენტების მიერ ჩაბარების ეტაპებთან შესაბამისობით. ეს ხელს უწყობს განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას და განვითარებაში ხელის შეწყობას.

შუალედური შეფასების დროს პედაგოგი აფასებს სტუდენტს შემდეგი კრიტერიუმებით, თუ რამდენად შეუძლია: თეორიული მასალის გააზრება (სტატიის რეზიუმე, TED ლექცია, ა.შ.); დემონსტრირების მოხდენა შესაბამისი კონცეფციებით თვითანალიზით; ცნებების მაგალითებით გამყარება; შეიმუშავოს მიზანი უნარის გაუმჯობესებისთვის თანმიმდევრულად, მათ შორის გამოავლინოს წინააღმდეგობები და საჭიროებები; საკუთარი და სხვათა აღქმების დაკავშირება და რამდენად აცნობიერებს უნარის გაუმჯობესების როლს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

კურსის შეფასება სტუდენტის მიერ, მოსამზადებელი დავალებების და რესურსების მიწოდება მოხდება ელექტრონულად.

Peer/Self Assesement, Reflective Diary – **თვითშეფასება/მეწყვილის შეფასება, რეფლექსიური დღიური**

ტრენერი – ასოცირებული პროფ. **მაკა მურვანიძე**

იუნესკოს სწავლის ოთხ ძირითად პრინციპს წარმოადგენს: Learning to Know – სწავლა ცოდნის მისაღებად, Learning to do – სწავლა რაიმეს კეთებისათვის, Learning to be – სწავლა ცხოვრებისათვის და Learning to live togather – სწავლა სხვა ადამანაებთან ერთად თანაცხოვრებისათვის. ზემოთ აღნიშნული განმავითარებელი შეფასების მეთოდი „ცხოვრებისათვის სწავლას“ მიეკუთვნება.

თვითშეფასება/მეწყვილის შეფასება და რეფლექსიური დღიური ინდივიდს ქვემოთ ჩამოთვლილში ეხმარება: თვითგაცნობიერება, თვითეფექტიანობა, პიროვნული ზრდა, პროფესიული განვითარება, პროფესიული იდენტობის ფორმირება, ემპათიის გრძნობის ამაღლება. ამ შეფასების გამოყენების

გაგრძელება მე-8 გვ.

მე-9 გვერდიდან

განმავითარებელი შეფასების ინოვაციური ხერხები და 21-ე საუკუნის უნარები წარმატებული დასაქმებისთვის

დროს ხდება ინდივიდის ფსიქოსოციალური, ფიზიკური და ზოგადად პიროვნული შესაძლებლობების/პოტენციალის ზრდა თვითანალიტიკური და სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობით.

თვითშეფასების/მეწყვილის შეფასებისა და რეფლექსიური დღიურის ფუნქციაა თვითდაკვირვება, თვითშეფასება, თვითრეფლექსია, მეტაკოგნიცია; სხვებისგან სწავლა, სხვისი შეფასების უნარის გამომუშავებით საკუთარი ცოდნის ამაღლება; წერის უნარ-ჩვევების განმტკიცება; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა; საკომუნიკაციო უნარების განვითარების ხელშეწყობა; ჯგუფური მუშაობის/თანამშრომლობითი უნარების განვითარების ხელშეწყობა.

სიტყვა **Reflection** – რეფლექსია ლათინური სიტყვაა და უკან გადაწევას ნიშნავს, ხოლო სიტყვა – Assessment– **გვერდით ჯდომას** ნიშნავს. ორივე მათგანის გამოყენება ხდება სწავლების პროცესში და არა სემესტრის ბოლოს, სწავლის გასაუმჯობესებლად და არა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად (რომელსაც ვეღარ ვცვლით), ხელახლა ვუბრუნდებით გაუგებარ მასალას.

რეფლექსიური დღიური შეიძლება იყოს ინდივიდუალური და ჯგუფური. ფორმატის მიხედვით იგი შეიძლება იყოს სამი სახის: სტრუქტურირებული, ნახევრად სტრუქტურირებული, არასტრუქტურირებული, ხოლო შინაარსის მიხედვით შეიძლება იყოს გონებრივ-კოგნიტური, ქცევითი და შეგრძნებაზე და ემოციებზე დაფუძნებული.

ჯგუფის რეფლექსიური წარმოების პრაქტიკა ძირითადად გვხვდება შემდეგ სასწავლო მეთოდებში: Project Based Learning (PBL) – პროექტზე დაფუძნებული სწავლება, Problem Based Learning (PBL) – პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, Game Based Learning (GBL) – თამაშებზე დაფუძნებული სწავლება, Case Based Learning (CBL) – შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, Evidence Based Practice (EBP) – მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა, Value and Knowledge Education (VAKE) – ღირებულებებზე და ცოდნაზე დაფუძნებული სწავლება.

ზემოთ აღნიშნული ორივე განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი მეტად აქტუალურია დღეს ევროპულ ქვეყნებში და დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც ლექტორებში, აგრეთვე სტუდენტებში.

4. Open Digital Badges (ODB) – **ღია ციფრული ბეიჯი.**

ტრენერი – ასოცირებული პროფ. **დიანა მიქელაძე**.

განმავითარებელი შეფასების ახალი ფორმა, ღია ციფრული სამკერდე ნიშნები (ODB), არის ვიზუალური სიმბოლოები, რომლებიც წარმოადგენს მიღწევების ვალიდურ ინდიკატორებს და ინფორმაციას გვაწვდის მონაცემებით და მტკიცებულებებით გამყარებული ცოდნისა და უნარების შესახებ, რომელთა გაზიარებაც შესაძლებელია ინტერნეტის საშუალებით. ღია ციფრული სამკერდე ნიშნები ODB საშუალებას აძლევს მათ მფლობელებს თან ატარონ ის, რაც ისწავლეს, სადაც არ უნდა წავიდნენ და შექმნან მთელი ცხოვრების მანძილზე თავიანთი ცოდნის მდიდარი ისტორია.

თითოეულ ნიშანს (ODB) აქვს საკუთრი იმიჯი და ატარებს ინფორმაციას თავად ამ კონკრეტული ნიშნის, მისი მიმღების, გამცემისა და ნებისმიერი სახის დამადასტურებელი მტკიცებულების შესახებ. „ბეჯის“ ფოტო ფაილი მოიცავს დეტალურ ინფორმაციას მასწავლებლის ცოდნის, უნარისა და ღირებულებების შესახებ და მისი განთავსება შესაძლებელია როგორც ონლაინ CV-ში, ასევე სოციალურ ქსელებში. „ბეჯებს“ OB სპეციფიკაციების შესაბამისად გასცემს ათასობით ორგანიზაცია მთელს მსოფლიოში, დაწყებული არამომგებიანი ორგანიზაციებით და დამთავრებული ძირითადი დამქირავლებითა და ყველა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებებით

ღია სამკერდე ნიშანი არის განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც დახმარებას უწევს სწავლის სხვადასხვა სტილის მქონე მსწავლელს (მაგ. აქტივისტს, რეფლექტურად მოაზროვნეს, თეორეტიკოსს, პრაგმატისტს, ეხმარება მსწავლელს თავად განსაზღვროს სასწავლო მიზნები და დაგეგმოს სწავლის სტრატეგიები. ღია სამკერდე ნიშნები, სწავლის განსხვავებული გზები, ასევე პერსონალური „სასწავლო კონტრაქტი“ ქმნის განათლების მიღების ინსტრუმენტების სამკუთხედს, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს მათი ერთდროულად გამოყენებისას.

„ბეიჯები” შეიძლება შეიქმნას და გამოშვებულ იქნეს ნებისმიერი უნივერსიტეტის, სკოლის, ონლაინ სივრცეების, კულტურული და სამოქალაქო ინსტიტუტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. „ბეიჯები” შეიძლება მიიღოს ნებისმიერმა პირმა პროგრამის გავლის ან პროექტის დასრულების შემდეგ ან მიიღოს იგი სპეციალური ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის. „ბეიჯები” შეიძლება განთავსდეს ვებ-გვერდებზე ან ბლოგებზე, სოციალური მედიის პროფილებზე, ონლინ პორტფელიოებზე და რეზიუმეებში, რაც რეალური შესაძლებლობაა სასწავლო ინსტიტუტებში კრედიტების მიღების და პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთობების დამყარების, პიროვნების შემდგომი დასაქმების მიზნით.

კოლეგებო, თქვენს მიერ შერჩეული შეფასების ინსტრუმენტის დანერგვის სურვილის შემთხვევაში, პროექტის სტაფი მზადაა პიარ/მენტორინგი გაგიწიოთ და დაგეხმაროთ ინსტრუმენტის შერჩევასა და იმპლემენტაციაში.

ღია კარის დღე

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019”-ის ფარგლებში, 23 სექტემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აბიტურიენტებისთვის **ღია კარის დღე** გაიმართა, ახალციხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის. პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში, აბიტურიენტებს უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მაკა ბერიძე,** რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი **მერაბ ბერიძე,** ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ხათუნა ხმალაძე,** სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი **მირზა ბურძენიძე** მიესალმნენ. შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორმა გახსნა.

მივესალმები მობრძანებულ სტუმრებს და მოგახსენებთ მადლობას იმისთვის, რომ მოხვედით ჩვენს უნივერსიტეტში. მნიშვნელოვანი კვირეული იმართება საქართველოში და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. რომ არაფერი ვთქვათ სხვა მიზეზებზე, რომლებიც აქ დასახელდება, მარტო იმიტომ, რომ დღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუმრობს ამდენი არაჩვეულებრივი ახალგაზრდა, ეს დღე გამორჩეულია. – აღნიშნა ქალბატონმა მაკამ.

სამეცნიერო ფესტივალის შესახებ მოსწავლეებს ესაუბრა რექტორის მოადგილე, სამეცნიერო დარგში, მერაბ ბერიძე. მან გაიხსენა უნივერსიტეტის გახსნის პერიოდი, გაიხსენა ის ამბავიც, თუ უნივერსიტეტის პირველ ნაკადს როგორ პირდებოდნენ, რომ მათი შვილებიც ამ უნივერსიტეტში ისწავლიდნენ. არა თუ შვილები, შვილიშვილები არიან მოსული ჩვენს უნივერსიტეტში და ამიტომაც, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღეს თქვენს სტუმრობასო, აღნიშნა ბატონმა მერაბმა და საუბარი განაგრძო უნივერსიტეტის სამეცნიერო მიმართულებაზე: **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერიტეტი არის უნივერსიტეტი, სადაც ვითარდება მეცნიერება. სწორედ, ამ ტიპის უნივერსიტეტებში იმართება სამეცნიერო კვირეული. ჩვენ რასაც ვასწავლით სტუდენტებს, იმას ჯერ ვიკვლევთ, მერე, ეს კვლევის შედეგი, მოდის თქვენამდე, საზოგადოებამდე, როგორც სასწავლო კომპონენტი ჩვენი საქიანობის.**

რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ხათუნა ხმალაძემ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა უნივერსიტეტისა და საჯარო სკოლების თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობასა და საჭიროებაზე და მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის რექტორატს, პროფესორ-მასწავლებლებს იმ აქტივობებისთვის, რომელსაც ისინი ახორციელებენ რეგიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის მიმართ.

უნივერსიტეტის რექტორმა მოსწავლეებს გააცნო ყველა ის სპეციალობა, რომელზე სწავლაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტშია შესაძლებელი. დააანონსა, რომ უნივერსიტეტში იგეგმება ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის დამატება. მოსწავლეების მხრიდან არაერთმა კითხვამ გაიჟღერა, რაზედაც რექტორმა ამომწურავი პასუხი გასცა.

მოსწავლეებს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი **მირზა ბურძენიძე** მიესალმა. მან ახალგაზრდებს მოუწოდა არჩევანი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტზე შეაჩერონ. მოსწავლეებს სტუდენტური თვითმმართველობის შესახებაც ესაუბრა და იმ ღონისძიებებზე, თუ რა აქტივობებს ასრულებს უნივერსიტეტში ეს ორგანო.

ჩვენს უნივერსიტეტს ჩემზე წინ ჩაბარებულმა სტუდენტებმა სიყვარულის უნივერსიტეტი უწოდეს. თქვენ რომ აქ მოხვალთ, 2020 წელს რომ ჩააბარებთ, უნივერსიტეტს დაარსების 30 წლიანი იუბილე ექნება. მოდით, ერთად ვიზეიმოთ, ჩვენს კუთხეში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 30 წლის იუბილე, ერთად ვაშენოთ და ვაძლიეროთ სამცხე-ჯავახეთი. ასეთი მიმართვით დაასრულა რექტორმა შეხვედრის ოფიციალური ნაწილი, რის შემდეგაც მოსწავლეებმა გადაინაცვლეს უნივერსიტეტის ფოიეში. აქ მათთვის წარმოდგენილი იყო სამეცნიერო გამოფენა – **ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება აგრონომიაში**. მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, თავად ჩაეტარებინათ ცდები.

სოფლის მეურნეობის დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **ზაირა ტყებუჩავამ** მოსწავლეებს განუმარტა, რომ ისინი მიიღებენ ინფორმაციას ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოყვანასთან დაკავშირებით. ასევე, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქცია უნივერსიტეტის საცდელ ნაკვეთზეა მოყვანილი და გამოყენებულია ორგანიკა სასუქი, ანუ თხევადი სასუქი თესლის შეწამვლიდან დაწყებული, ფოთლოვანი კვების ჩათვლით. წარმოდგენილი იყო თამბაქო, გოგრა, მარწყვი, ბატიბუტის ჯიშის სიმინდი, სოიო, ლობიო, ჭარხალი და კომბოსტო, სამკურნალო მცენარეები. აი, რა გვითხრეს გამოფენის მონაწილე დოქტორანტებმა.

ბექა თათეშვილი: დღეს აბიტურიენტებს ავუხსენით, რომ კოჟრის ბაქტერიით დასნებოვნებულ თესლს, დათესვის შემდეგ, ფესვებში უჩნდება კოჟრის ბაქტერია, რომელიც ჰაერიდან იღებს აზოტს, აწვდის მცენარეს და მცენარე უფრო ძლიერი და უხვმოსავლიანია. ახალგაზრდებმა მიკროსკოპის საშუალებით, თავად ნახეს კოჟრის ბაქტერიით დასნებოვნებული ფესვი.

მზია ლობჟანიძე: ჩემი სადისერტაციო თემაა თავშავას სამკურნალო თვისებები და ბიომრავალფეროვნება. აღმოვაჩინე, რომ თავშავა არა მხოლოდ სამკურნალო მცენარე, არამედ სანელებელი და საღებავი მცენარეცაა. თავშავათი შევღებე მატყლი და ეს შედეგი წარმოვადგინე დღეს აბიტურიენტებისთვის.

თამარ ნარიმანიშვილი: ჩვენ წარმოვადგინეთ სამი ჯიშის ხორბალი, დათესილი სხვადასხვა ვადაში. თვალით შესამჩნევია, თუ რომელ ვადაში უკეთესია მოსავალი. ეს იყო ცდის მიზანი და ამ საკითხზე დეტალურად ვესაუბრეთ აბიტურიენტებს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, ახალციხის პირველი საჯარო სკოლის მე-11 კლასის დამრიგებელს **მზია ელიაშვილს** გავესაუბრეთ: **მოხარული ვარ, რომ ამ ქალაქში სახელმწიფო უნივერსიტეტი არსებობს და რეგიონს პროფესიონალ კადრებს უზრდის. ჩვენი ბევრი მოსწავლე ფიქრობს ამ უნივერსიტეტში გაგრძელოს სწავლა. ნახეს მოსწავლეებმა დღეს წარმოდგენილი გამოფენა, აქტიურად ჩაერთვნენ ცდების ჩატარების პროცესში. ძალიან საინტერესო ინფორმაცია მიიღეს უშუალოდ უნივერსიტეტის რექტორისაგან და ვფიქრობ, უფრო მეტად დაინტერესდებიან, გახდნენ ამ უნივერსიტეტის სტუდენტები.** – აღნიშნა მან.

ამავე სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეს **ნიკოლოზ დემეტრაძეს** გადაწყვეტილი აქვს, სწავლა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელოს. **დღევანდელმა ღია კარის დღემ და აქ გაჟღერებულმა სიახლეებმა კიდევ მეტად დამაჯერა, რომ მომავალში სწორ არჩევანს გავაკეთებ, თუ ამ უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდები.** – გვითხრა ნიკოლოზმა.

ასეთი შთამბეჭდავი და საინტერესო იყო ღია კარის დღე, რომელიც მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა.

ლიკა ზაზაშვილი

ინფორმაცია

● **18 სექტემბერს** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში (ახალქალაქი), დაგეგმილი საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა პირველკურსელებთან.

ვებგვერდის ადმინისტრატორი **ჯულიეტა ტაბეშაძე** სტუდენტებს ესაუბრა უნივერსიტეტის ვებგვერდისა და სტუდენტთა პორტალის შესახებ.

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტების ხარისხის სამსახურებმა, ასოცირებულმა პროფესორებმა: **მაია ქუქჩიშვილმა** და **ნანა ჯღარკავამ** ისაუბრეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, პროგრამებისა და სილაბუსების შესახებ.

შეხვედრა წარიმართა ინტერაქტიულ რეჟიმში.

● **27 სექტემბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს საერთაშორისო პროგრამების Erasmus+ და EVS მონაწილეები შეხვდნენ. ახალგაზრდებმა პრეზენტაცია ჩაატარეს და საკუთარი გამოცდილების შესახებ ისაუბრეს. ასევე, დამსწრე საზოგადოებას გააცნეს, რას ითვალისწინებს აღნიშნული პროგრამები და როგორ არის შესაძლებელი მასში მონაწილეობის მიღება. ღონისძიება არაფორმალურ გარემოში მიმდინარეობდა.

შეხვედრას ორგანიზება სტუდენტურმა თვითმმართველობამ გაუწია.

აღსანიშნავია, რომ Erasmus+ გაცვლით პროგრამას სტუდენტებისთვის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი პარტნიორ სასწავლებლებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ახორციელებს.

● **27 სექტემბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, ახალციხის ციხის ტერიტორიაზე, Welcome Party გაიმართა.

მუსიკალური პროგრამის დაწყებამდე სტუდენტებს უნივერსიტეტის რექტორი **მაკა ბერიძე** მიესალმა. მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ აღნიშნულ დღეს სოხუმის დაცემიდან 26 წელი გავიდა. დამსწრე საზოგადოებამ დაღუპულთა ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგო. ამის შემდეგ, სტუდენტებს სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი **ბესიკ ამირანაშვილი** და რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი **მერაბ ბერიძე** მიესალმნენ.

შემდეგ მუსიკალური პროგრამა დაიწყო. საღამოზე უკრავდა ჯგუფი „1/4“ და სამი DJ: **თორნიკე კვინცხაძე, რატი ჩინჩალაძე** და **გიორგი ბექტურაშვილი**.

თავდაპირველად, ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალი უნდა ყოფილიყო ნებისმიერი პირველკურსელისთვის. თუმცა, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ხატია პარუნაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, თვითმმართველობის გადაწყვეტილებით, Welcome Party საქველმოქმედო ხასიათის გახდა. საღამოს პირველკურსელებთან ერთად სხვა სტუდენტებიც დაესწრნენ. ღონისძიებიდან შემოსული თანხა მთლიანად ხატია პარუნაშვილის ანგარიშზე გადაირიცხება.

აღნიშნული ღონისძიებით იმ აქტივობების ერთკვირიანი პროგრამა დასრულდა, რომელიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პირველკურსელებისთვის მოამზადა.

● **30 სექტემბერს,** უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, სტუდენტებს სადაზღვევო კომპანია „ალფას“ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ქსელის ხელმძღვანელი გიორგი დიაკონაშვილი შეხვდა. მან სტუდენტებს კომპანიაში არსებული მიმდინარე ვაკანსიის შესახებ მიანოდა ინფორმაცია. „ალფა“, ფიქსირებულ სახელფასო სისტემასთან ერთად, დასაქმებულებს ბონუსურ სისტემასაც სთავაზობს. დიაკონაშვილის განმარტებით, კომპანიას სტუდენტებისთვის სამუშაოს მოქნილი გრაფიკი აქვს.

უნივერსიტეტის
***facebook**-ის გვერდიდან*

ბლიც-ინტერვიუ

არსებობენ ადამიანები, რომლებსაც გვგონია, რომ ვიცნობთ. მათ ყოველდღიურად ვხვდებით, ვუღიმით, ვესალმებით, ზოგჯერ ვეკითხებით, როგორ არიან და რა ხდება მათ ცხოვრებაში ახალი. შესაძლოა, მათთვის სხვა შეკითხვებიც დაგვისვამს, მაგრამ მაინც არ ვიცნობთ საკმარისად, არ ვიცნობთ განსხვავებული კუთხით. ვხვდებით ადამიანებს, მათთან ერთად ვმუშაობთ და არ ვიცით, რა უხარიათ, რას ფიქრობენ...

ამ ამბავზე დავფიქრდი და გადავწყვიტე, ნაცნობი ადამიანები თავიდან გაგაცნოთ.

მგონია, რომ ბლიც-ინტერვიუ ყველაზე გულწრფელი ჟანრია ჟურნალისტიკაში. გეკითხებიან ძალიან მოკლედ და პასუხისთვის დროს არ გიტოვებენ, ამიტომ ნათქვამი ყველაზე ნამდვილი სწორედ ამ დროს არის. ადამიანის გაცნობა კი მხოლოდ გულწრფელი, შეულამაზებელი და დაუფიქრებელი პასუხით შეიძლება.

პირველად ბლიც-ინტერვიუს რუბრიკას ანა ასანიძე სტუმრობს, რომელსაც აქამდე იცნობდით, როგორც ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სპეციალისტს.

– ანა, მოგესალმები. მიხარია, ბლიც-ინტერვიუზე რომ დამთანხმდი. მე სიტყვას ან ფრაზას გეტყვი, შენ კი აზრი გააგრძელე.

იქნებოდი...

ჩემი დიდი ხნის, ბავშვობისდროინდელი ოცნებაა ვყოფილიყავი მოცეკვავე. მგონია, რომ კარგად გამომივიდოდა ცეკვა, რადგან სულში მიზის.

საკუთარ თავში მოგწონს...

მიყვარს ჩემი თავი (იღიმის), მიყვარს, ყველა მომენტში... ისეთი, როგორიც ვარ.

ბავშვობაში ყველაზე მეტად გინდოდა...

ბავშვობაში ძალიან ბევრი ოცნებები და სურვილები მქონდა. პირველ კლასში ვამბობდი ხოლმე, რომ მინდოდა ექიმობა. შემდეგ მონაზვნობა მომინდა, რადგან ჩემი ძმა არის ბერი საფარის მონასტერში. ბავშვობაში ხშირად მივდიოდი მასთან, რამაც ჩემი სურვილი განაპირობა. 5 წლისა მოვინათლე და მას შემდეგ სულ ეკლესიაში ვარ, ამან ზოგადად დიდი გავლენა მოახდინა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაზე. მონაზვნობის სურვილი დღემდე მსდევს.

ნიჭი, რომელიც გინდა გქონდეს...

გულწრფელად მინდა, ხატვა შემეძლოს. იმდენად მინდოდა მეხატა, რომ ერთხელ ფუნჯები და საღებავები ვიყიდე, მაგრამ მხოლოდ სურვილი თურმე არაა საკმარისი.

არასოდეს გააკეთებ...

გამიკეთებია ისეთი რაღაცები რასაც, ვფიქრობდი, არასოდეს გავაკეთებდი. ამიტომ არ ვიტყვი ამ სიტყვას. როდესაც იტყვი – არასოდეს, სხვანაირი ბრძოლა გიწევს საკუთარ თავთან.

ნანობ...

ჩემს ცხოვრებას რომ გადავხედოთ, მაქვს ისეთი საქციელი ჩადენილი, რომელსაც ძალიან ვნანობ. თუმცა, იმ მომენტში ახსნა და გამართლება ჰქონდა. ვფიქრობ, უმიზეზოდ მაინც არაფერი ხდება. კონკრეტული მოვლენა, თუნდაც, სანანებელი იმიტომ მოხდა, რომ მერე რაღაცა უფრო ადვილად გადამეტანა. უბრალოდ ფაქტებს ვნანობ...

სიყვარული...

სიყვარულში მოვისაზრებ ყველაფერს: ჩიტივით ფრენას, ყველანაირ დადებით ემოციას, წარმომიდგება ცისარტყელა, ძალიან ბევრი ლამაზი ფერით... თუმცა, სიყვარული შეიძლება ძალიან დიდ წყდიადად წარმოვიდგინოთ. მხოლოდ ერთი განმარტება, რომ ეს გრძნობა ჩიტივით ფრენას ჰგავს, საკმარისი არ არის. სიყვარულში ბევრი რამ მოიაზრება, რადგან, ამავდროულად, არის მძიმე და რთული, რომლის გადალახვის შემდეგ კიდევ უფრო ლამაზად ანათებს ხოლმე მზე.

საუკეთესო, რაც გაქვს...

ჩემი შვილები.

განიცდი...

მიყვარს ადამიანები და სიყვარულს განვიცდი ხშირ შემთხვევაში – ეს დადებითი კუთხით. უარყოფით კონტექსტში კი – იმედგაცრუებას განვიცდი ძალიან.

არ გჯერა...

არ მჯერა, რომ ცხოვრებაში რაიმე უმიზეზოდ ხდება.

ბოლოს იტირე...

ხშირად ვტირი... ჩემში ტკივილს იწვევს იმედგაცრუება, რასაც ტირილამდე მივყავარ. ასევე, სიხარულს შეუძლია ჩემი ატირება. შეიძლება, უბრალოდ, ემოციურ ფოტოს შევხედო – გული ამიჩუყდეს და ავტირდე.

ყველაზე ბედნიერი იყავი...

ჩემი ცხოვრების ყველა ეტაპს ჰქონდა თავის ბედნიერების მიზეზი. უკვე გითხარი, რომ მონაზვნობა მინდოდა და ამ სურვილს ძალიან დიდი ბედნიერება მოჰქონდა. შემდეგ ძალიან ბედნიერი ვიყავი, როდესაც გერმანიაში წავედი. იქ სხვანაირად გავშალე ფრთები და ბედნიერება განსხვავებულად შევიგრძენი. ბედნიერი ვიყავი,

როდესაც შევქმენი ოჯახი. ბედნიერი ვიყავი ჩემი შვილების დაბადებისას პირველად რომ შევხედე მათ... და მაინც ვფიქრობ, რომ ბედნიერი ვარ ყოველდღე. მაგალითად, დღეს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მივდიოდი, ჩემს წინ ჩამოვარდა კაკალი, გამიხარდა და ღმერთს მადლობა ვუთხარი. ორი ნაბიჭი გადავდგი და კიდევ ერთი კაკალი ჩამოვარდა. ამით ვიგრძენი უკუკავშირი, რომ მადლობის გადახდის შედეგად კიდევ ერთი ჩამოვარდა. ასეთ წვრილმანებშიც ბედნიერებას ვგრძნობ.

გეშინია...

ხშირად ვახსენებ, მაგრამ ისევ ვიტყვი. ძალიან რთული გადასატანია იმედგაცრუება. ამ გრძნობის განცდის მეშინია.

მთავარი შეხვედრა...

მთავარი შეხვედრა იყო, როდესაც აღმოვაჩინე ჩემში ღმერთისადმი რწმენა. მაშინ გავაცნობიერე, ვინ იყო და რას ნიშნავდა. ერთგვარად საკუთარ თავთან შეხვედრას ჰგავდა. შემდეგ უკვე მეუღლესთან და შვილებთან პირველი შეხვედრა იყო მთავარი.

ხასიათი...

მიმტევებელი.

ჩვევა...

მიყვარს ღიმილი, სიცილი.

საყვარელი ადგილი...

საფარის მონასტერი, მღვიმევის მონასტერი.

სამი რამ, რაც შთაგაგონებს...

ღმერთი, მისადმი რწმენა. ეს არის ჩემი ცხოვრების მამოძრავებელი ძალა. ჩემი შვილები შთამაგონებენ, მაგრამ შვილებიც ღმერთის საჩუქრები არიან. ამიტომ ისევ მასთან მივდივარ.

სამი ნივთი, რომელიც სულ თან გაქვს...

ნივთად თუ შეიძლება ჩავთვალოთ – ჯვარი. ასევე, მობილური, ჩანთა...

ყოველთვის გინდოდა გეთქვა...

შესაძლოა ამ ინტერვიუს ვინც წაიკითხავს, სადმე სხვა სამყაროში გადავარდნილი ვეგონო ან მხოლოდ ერთ რამეზე ორიენტირებული. თუმცა, მინდა ადამიანებს ვუთხრა – ჰქონდეთ ღმერთის რწმენა. რწმენა სიყვარულია, რაც სამყაროს ატრიალებს. სიყვარულით კი ყველა პრობლემა დალაგდება.

„არ მჯერა, რომ ცხოვრებაში რაიმე უმიზეზოდ ხდება“

ინტერვიუერი
ნანუკა მიქელაძე

ნომრის სტუმარი

გურამ მღებრიშვილი: ხატწერა ლოცვით კეთდება

გურამ მღებრიშვილი 1973 წლიდან რუსთავის სახელმწიფო თეატრის დამდგმელი მხატვარია, 1979 წლიდან მონაწილეობს რესპუბლიკურ საერთაშორისო და შიდა საქალაქო სამხატვრო გამოფენებსა და კულტურულ ღონისძიებებში. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში, საპატრიარქოსა და ეკლესიის ფონდებში.

2002 წელს აირჩიეს ქ. რუსთავის მხატვართა კავშირის – „გამას“ თავმჯდომარედ (ითვლება ერთ-ერთ დამფუძნებლად) და საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის წევრად. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, პრეზიდენტის მადლობითა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ საუკეთესო სცენოგრაფიული ნამუშევრებისათვის.

ბატონი გურამი რუსთავში წმიდა გიორგის ეკლესიის მოხატვის დროს ვინახულე. „ვედრების კომპოზიცია“ (იესო მაცხოვარი, ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი) – ასე ეწოდება ფრესკას, რომელსაც ბატონი გურამი და მისი ვაჟი ლექსო წერდნენ.

– ბატონო გურამ, რას გრძნობთ, როდესაც ხატს წერთ?

– პირველ რიგში, უდიდეს პასუხისმგებლობას. ეს არ არის რომელიმე საერო თემა, თუნდაც, ნატურმორტი ან სხვა რამ. ხატწერა ლოცვით კეთდება. აუცილებელია, შინაგანად განეწყო. როდესაც მრევლთაგანი წარსდგება ხატის წინაშე, ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ მან იგრძნოს ხატის თვალებიდან გადმოსული მადლი; წინააღმდეგ შემთხვევაში შრომა წყალში გადაყრილად ჩაითვლება. განსაკუთრებულია ნაწარმოების დასრულების მომენტი, ესთეტიური შეგრძნება მაქსიმუმს აღწევს... წარმატების შემთხვევაშიც, ცხადია, განიცდი სულიერ სიამოვნებას. ეს უფლისგან მოვლენილი მადლია.

– გვაინტერესებს, რომელი ეკლესია-მონასტრები გაქვთ მოხატული და ისიც – რომელი საეკლესიო მხატვრობის ან ფერწერული ტილოს თემაში მიუახლოვდით დასახულ, მხატვრულ მიზანს?

– გამიჭირდება ცალკე რომელიმეს გამოყოფა. 70 წლის გავხდი და ამ ხნის მანძილზე მქონდა უამრავი ადგილობრივი თუ საერთაშორისო გამოფენა, 26 თეატრალური დადგმა; ჩემი დაწერილი უამრავი ხატი, საქართველოს გარდა, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია დავანებული, ასევე, 16 ეკლესია, წაჩხუროს „მთავარანგელოზის“ ეკლესია, ამჟამად (მამათა მონასტერია), ნაფოსტარის „წმიდა გიორგის“ ეკლესია, უდეს „წმიდა ნინოს „დედათა მონასტერი, ცხრუკვეთის „წმიდა გიორგის“ ეკლესია, ჭიათურის „ხარების ეკლესია“, ერთი სატრაპეზო (აქედან 9 მთლიანად მაქვს მოხატული, ძირითადად, ჩემს ვაჟიშვილთან – ლექსოსთან ერთად), აგრეთვე, ხის მხატვრული დამუშავება (კიოტები, ჯვრები და სხვა, ჭედური ნიმუშები, როგორც საერო, ასევე, საეკლესიო). თუმცა, ყურადღებას გავამახვილებდი თბილისის სიონში ივერიის ღვთისმშობლის ჭედურ პერანგზე, 135×95 სმ მოოქროვილი ვერცხლი, რომელიც დაიწერა ათონის მთაზე ჰიბოდიაკონ





პარხომეოსის მიერ და ჩამობრძანდა 1990 წელს. ეს იყო პირადად პატრიარქის დაკვეთა. ამ ხატის უამრავი, მნიშვნელოვანი ასლია დაწერილი. საკმარისია ითქვას, რომ მოსკოვში რუსი მეფეები ასეთი ასლის წინაშე ეკურთხებოდნენ ხოლმე. როდესაც წამობრძანდა ათონის მთიდან, ათონელი ბერები ტიროდნენ, მთელი მადლი მას გაჰყვაო. ხატი სასწაულმოქმედია, მისი ჩამობრძანების შემდეგ მინაზე გამოისახა ღვთისმშობლის ასლი, ეს მინა ახლა სიონის ტაძარშია დაბრძანებული. აგრეთვე, ჭედური პანო ადიგენის ცენტრში.

– რომელი ფრესკის ან ფერწერული ტილოს პერსონაჟი არის თქვენთვის განსაკუთრებულად შთამბეჭდავი?

– ძალიან ძვირფასია ბოლო დროის ნამუშევრები, წმიდა გაბრიელის ხატი სვეტიცხოველში, წმიდა სამების ხატი მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში, წმიდანების – მხეიძისა და მაისურაძის ხატი სვეტიცხოველში, ლაზარეს აღდგინების ხატი საფარაში. სოფელ უდეს, მიძინების ეკლესიის ხატები – „წმიდა მატრონა“, „იოაკიმეს და ანას შეხვედრა“, „ანთიმოზ ივერიელი“, აგრეთვე, „ფერისცვალება“, რომელიც დაიწერა სოფელ ურაველის ეკლესიისათვის. ეს ხატები ძვირფასია ჩემთვის იმიტომ, რომ მათში მივაღწიე ფერწერულ სიღრმეებს და კომპოზიციური ქსოვილის შინაგან ჰარმონიას, რაც მთავარია, ამაღლებულ სულიერებას, რომელიც ხატებიდან გადმოდის.

– ბატონო გურამ, გვიამბეთ თქვენს შესახებ.

– დავიბადე ადიგენის რაიონში, სოფელ უდეში, 1949 წელს. მამაჩემი მძღოლი იყო, დედა – დიასახლისი. დედაჩემმა – ნინო გიქოშვილმა, უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემს პიროვნულ ჩამოყალიბებაზე. მან შემაყვარა წიგნის კითხვა, ზეპირად იცოდა ქართული კლასიკური პოეზიის ნიმუშები. დღემდე თვალწინ მიდგას ლიტერატურული საღამოები, როდესაც იკრიბებოდნენ ჩემი ახლობლები, მეზობლები... ამან დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩემი თვალსაწიერის გაფართოება-ჩამოყალიბებაზე. ხელოვანი მხოლოდ ერთი მიმართულებით ვერ განვითარდება. ინტელექტუალური მარაგი შემოქმედისთვის დიდი აუცილებლობაა. მახსოვს, პირველად მამაჩემმა უჯრედების ბადით გამოსახულების ასლის გაკეთება მასწავლა, რამაც ძალიან დამაინტერესა.

რაც შეეხება ხატვას, როგორც კი ხელში ფანქრის დაჭერა შევძელი, იმ დროიდან ვხატავ. სკოლაში საუკეთესო მოსწავლედ ვითვლებოდი, სახლში კი ხან დანებს, ხან თვითმფრინავებს ვჩორკნიდი; ავია-ინჟინერი მინდოდა გამოვსულიყავი.

– რატომ გადაიფიქრეთ ავია-ინჟინრობა?

– ეს იყო ბავშვური ოცნება. ასაკთან ერთად შემეცვალა შეხედულებები. ხატვამ გამიტაცა და სკოლის დამთავრების შემდეგ სამხატვრო აკადემიის ერთწლიან მოსამზადებელ სტუდიაში ჩავირიცხე, შემდეგ კი მისაღები გამოცდები ჩავაბარე სამრეწველო დიზაინზე. ეს იმ პერიოდისთვის სიახლე იყო. მესამე კურსიდან სხვა გადაწყვეტილება მივიღე და გადავედი თეატრის მხატვრობაზე – სცენოგრაფიაზე. განაწილებით მოვხვდი რუსთავის სახელმწიფო თეატრში, რომელიც დირექციულად გაერთიანებული იყო ვასო აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრთან. შემდეგ თეატრები გაიყო და მე დრამატული თეატრი ავირჩიე, სადაც მოღვაწეობდნენ იმ დროის გამოჩენილი კორიფეები: აკაკი ვასაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გივი ბერიკაშვილი... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს; ეს დიდი პატივი იყო ჩემთვის. რუსთავის თეატრში დავრჩი ბოლო წლებამდე, რეპერტუარის ნაწილი ჩემი ავტორობით არის დადგმული. კოსტიუმები, დეკორაცია, პირველი სპექტაკლი, რომელიც ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დავდგით, ეს იყო თამაზ ჭილაძის „მკვლელობა“. საკმაოდ დიდი წარმატება მოგვიტანა ლაშა თაბუკაშვილის – „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, ნოდარ დუმბაძის – „ნუ გეშინია დედა“ და ბოლო ნამუშევარი დავდგით გოგი ქავთარაძესთან ერთად, ეს არის „თეთრი ბაირაღები“, თუმცა, პარალელურად დაკავებული ვიყავი საეკლესიო მხატვრობით.

– ამბობენ, მხატვრის ცხოვრება აღსავსეა წინააღმდეგობებით. ალბათ, თქვენც ბევრი წინააღმდეგობა შეგხვედრიათ.

– სიახლის მაძიებელი ყოველი ადამიანი, ნებისმიერ დარგში, ეჭვებითა და რისკებით არის სავსე, რომელიც შრომისმოყვარეობასა და გამბედაობასთან უნდა შეზავდეს. ამასთან, უფლისგან იღბალიც არ თამაშობს უკანასკნელ როლს. ყოველივე ეს არის ის ორომტრიალი, რომელშიც ყოფნა ყოველ შემოქმედს უხდება. არ შემიძლია არ გამოვყო 90-იანი წლები... დიდი გაჭირვება გამოვიარე.

მოგეხსენებათ, საქართველო ყოველთვის გლეხის კისერზე გადადიოდა, სოფელი არჩენდა ქალაქს, ჩვენს შემთხვევაში კი სოფელიც აღარ გვქონდა (ხელი არ მიგვიწვდებოდა მიწის მოვლაზე), ინტელიგენტიც აღარავის სჭირდებოდა; ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით!

ამ პერიოდში იძულებით ვვაჭრობდი კიდეც. ამით ვარჩენდი ოჯახს. ეს იყო მძიმე თავგადასავლების პერიოდი, თუმცა, ღვთის მადლით, სულიერად არ დავცემულვარ, რადგანაც მთელი ოჯახი ერთ მუშტად ვიყავით შეკრული. ჩემთვის ეს იყო სხვა გამოცდილება; ამიტომაც ჩემს თავში ვიპოვე ძალა და ისევ დავუბრუნდი მხატვრობას, ძირითადად, საეკლესიო მხატვრობას.

– გვიამბეთ თქვენს შვილებზე. საუბარში ახსენეთ ლექსო, რომელიც თქვეთან ერთად მუშაობს. თქვენ როგორ აფასებთ მათ შემოქმედებას?

–მყავს სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი. არა მარტო ლექსო, ჩემი ქალიშვილებიც პროფესიონალი მხატვრები არიან, მოღვაწეობენ როგორც ხატწერაში, ისე დაზგურ ფერწერაში. ლექსომ ფერწერის მაგისტრატურა დაამთავრა აკადემიაში, თამთა (უმცროსი ქალიშვილი) საეკლესიო მხატვრობით არის დაკავებული, ეთერი, ძირითადად, პორტრეტებზე მუშაობს. ნინო (უფროსი ქალიშვილი) პედაგოგია, მარი, ლექსოს მეუღლე, აქტიურ მონაწილეობას იღებს პერსონალურ და ჯგუფურ გამოფენებში. ცხადია, პარტნიორობას ლექსო მიწევს. მაგალითად, თბილისის სიონის ტაძარში გვერდიგვერდ არის წარმოდგენილი ჩემი ივერიის ღვთისმშობლის მოჭედილობა, აღსავლის კარის ჯვარი და ლექსოს გაბრიელის ხატი. მოგეხსენებათ, ხატმწერი, თავისი ხელოვნებით ცდილობს, ნებისმიერი სულიერი მოღვაწის თვალებსა და სხეულის მოძრაობაში, სწორედ რომ, სულიერი ძალა გადმოსცეს. იმ ათასეულებში, რომლებიც მე ჩემს ვაჟთან, ლექსოსთან ერთად ფრესკად და ხატად დაგვიწერია, მეტ-ნაკლებობა, რა თქმა უნდა, არსებობს, თუმცა, ამ მხრივ კონკურსის ჩატარება არ გვიცდია. ჩვენი მცდელობა ანალიზებისა მხოლოდ მომავალი ამოცანებისკენ არის მიმართული.

– ბატონო გურამ, რას უსურვებდით ჩვენს მკითხველს?

– ვუსურვებდი ღვთიური, უდიდესი მადლის, იმედის, მომავლისადმი რწმენისა და სიხარულის არმოშლას.

ინტერვიუერი
ქეთი სარიშვილი

რედაქტორი
მარინე ზედელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ლიკა ზაზაშვილი, მარიამ სუდაძე, ანა არუთუნიანი

მისამართი
ქ. ახალციხე, რუსთაველის 106

ტელ.: (+995) 22 890 400 191
ტელ.: 599 25 25 68

ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge